ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ორშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი.

№100 (1610)

11-12 ოქტომბერი, 1997 წელი



## თემურ მასხულია:

## ჯ. იოსელიანმა ხაჩიშვილს მიაყენა პიროვნული შეურაცხყოფა — შემოგდებული ხარო...

იხ. მესამე გვერდი



მეორე გვერდი

# აქა ამბავი სოციალისტების ბელადის მუჩაიძის მელუდეობისა...

მესამე გვერდი



## „შევარდნაძისათვის მეტი შეურაცხყოფა, ვიდრე მისი მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობა — შეუძლებელია"

იხ. მეორე გვერდი

## ცოტას შეგპირდებით, მაგრამ შევასრულებთ

რუსთაველისაგან განსხვავებით, ლეიბორისტთა გასვლა ხაშურში მშვიდობიანად ჩატარდა — „ამრევები" არ ყოფილან. რომც ყოფილიყვნენ, სხდომა იმდენად პატარა დარბაზში ჩატარდა, რომ საყვირალი ადგილიც აღარ იყო დარჩენილი. რაც შეეხება პუბლიკას, საკმაოდ ბევრი ხალხი მოვიდა. ამიტომ კაი ადგილებზე დაჯდომა კი არა, დადგომაც პრობლემა იყო.

შალვა ნათელაშვილი თემას არ ცვლის და, კაცმა რომ თქვას, ვერც შეცვლის, ის ხომ თავის პროგრამას აცნობს ხალხს. უფასო განათლება, სამედიცინო მომსახურება, ადამიანთა სოციალური დაცვა — აი მისი პროგრამის მთავარი პუნქტები და, რაც მთავარია, მისი თქმით, დღეს სახელმწიფოს ძალუძს ყოველივე ამ პრობლემის უმტკივნეულოდ გადაწყვეტა, თუ... აი ეს „თუ-ებია" სწორედ გადასაწყვეტი. ხალხმა ისიც იცის, კორუფცია რომ მოიცავს მმართველ ფენებს, საერთო ფული კერძო პირებს რომ გააქვთ, ყველაფრიანად რომ იყიდება საქართველო, მაგრამ... ისხდნენ და ოხრავდნენ: „ვიცით, როგორ არ ვიცით", აბა, ჩვენ ვინ გვეკითხება", „აბა, ჩვენ რა უნდა ვქნათ".

რა უნდა ქნათ, ხალხო და თქვენ უნდა იაქტიუროთ, როცა ამორჩევის საშუალება გაქვთ, სწორი არჩევანი უნდა გააკეთოთ.

აი, სწორმა არჩევანმა კი სხვადასხვა ინტერპრეტაციები დაბადა. ბოლო არჩევნების ჩათვლით სულ გაიხსენეს ყველაფერი. მერე ერთმა გლეხმა იკითხა: „აი თქვენა, განათლე-

გაგრძელება მე-3 გვ.




ვისაც გსურთ ჟურნალების, გაზეთების, წიგნების, დისერტაციების, რეფერატების აწყობა და სასტამბოდ მომზადება, ნებისმიერ ენაზე, უმცირეს ვადებში და ყველაზე იაფად, მობრძანდით ჩვენს კომპიუტერულ ცენტრში.

ტელეფონი: 93-19-99. მისამართი: პუშკინის ქ. №5 II სართ, ოთახი №207.


## ეროვნული მოღვაწე და კოსმოპოლიტი მიმომხილველი



იხ. მეოთხე გვერდი

# საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება

მინდა ბატონებისა და ქალბატონების ყურადღება მივაპყრო საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პერსპექტივას, როგორადაც იგი ამ ბოლო ხანებში მიღებულ ან მისაღებად შემუშავებულ ოფიციალურ დოკუმენტებში ჩანს, პირველ ყოვლისა – საქართველოს სამხედრო დოქტრინის პროექტში, მიუხედავად ამ დოქტრინის პროექტში ცალკეული რეალისტურად აწონილი და საქართველოსთვის კონკრეტულად სასარგებლო დებულებების არსებობისა, როგორიცაა, მაგალითად, დებულება, რომ „საქართველო არ დაუშვებს სამხედრო ძალის ჩართვას ლოკალურ ომებსა და სამხედრო კონფლიქტებში, თუ მათი გამოყენება უშუალოდ დაკავშირებული არ იქნება ჩვენი ქვეყნის ერთიანობისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან“, და ზოგი სხვა. პროექტი ნათლად მეტყველებს, რომ მის ავტორებს არ დაუსახავთ რეალურ ამოცანად არც საქართველოს დამოუკიდებელი ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალის შექმნა, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ამოცანებს შეესაბამება, და არც იმის განსაზღვრა, თუ რა ფაქტორების მიხედვით, რა პირობებით და რა პრიორიტეტებზე ორიენტაციით ირჩევს საქართველო თავის სტრატეგიულ პარტნიორებს იმ შემთხვევაში, თუ მათი ყოლის საჭიროებას ხედავს. მხედველობაში მაქვს, ძირითადად, შემდეგი:

1. პროექტში არ არის არც დაკონკრეტებული, არც ზოგადი სახით მაინც, განსაზღვრული, თუ რომელ პოტენციურ მოწინააღმდეგეზე ვრცელდება „თანაბარი უშიშროების“, „სამხედრო წონასწორობის“ და „თავდაცვის გონივრული საკმარისობის“ მცნებათა გამოყენება მათთან საქართველოს სათავდაცვო ურთიერთმიმართების გამოსახატავად. თუ ეს ეხება მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებთანაც საქართველოს დაახლოებით თანაბარი რიცხობრივი, სარესურსო, ეკონომიკური და შესაბამისად, სამხედრო პოტენციალი აქვს, მაშინ ამ მცნებათა მიყენებადობა მათთან ურთიერთობისადმი რეალურია. სამაგიეროდ არარეალურია შემდგომი დებულება, რომლის თანახმადაც შენარჩუნებულ უნდა იქნეს „მოსალოდნელი ან არსებული სამხედრო დაპირისპირების რაც შეიძლება დაბალი დონე“ (თუ პატარა სახელმწიფოებმა სამხედრო მზაობის „დაბალი დონე“ შეინარჩუნეს, როგორ გაუძლებენ ისინი დიდი სახელმწიფოების მუქარას?), ხოლო თუ ეს ეხება საქართველოს მიმართებას მასზე განუზომლად დიდ სახელმწიფოებთან, მაშინ ზემოხსენებულ ცნებებს აზრი არა აქვს. ამრიგად, საქართველოს თავდაცვის ყოველ სერიოზულ და პასუხისმგებლობით შედგენილ დოქტრინაში უსათუოდ უნდა იყოს გარჩეული რომელ (რა კატეგორიის) სახელმწიფოებთან და რა ომის (ჩვეულებრივი ან კონვენციური იარაღით წარმოებული, ბირთვული, გლობალური, ლოკალური...) პირობებში შეუძლია საქართველოს ორიენტაცია საკუთარი ძალის სათავდაცვო საკმარისობის პრინციპზე და რა შემთხვევაში – არა. ამგვარად, სერიოზულ დოქტრინაში აუცილებელია იმის განსაზღვრა, რა ომებს (რა სახის ომებს) ატარებს საქართველო თვითონ (თავისი ძალით) და რა ომებში (ან რა იარაღით ომებში) არის მისი გადარჩენა დამოკიდებული მსოფლიო თანამეგობრობაზე ან იმ სტრატეგიულ კავშირებზე, რომელშიც საქართველო შედის. თქმულიდან გამომდინარეობს, რომ პროექტის დებულებებს სამხედრო კავშირებში საქართველოს არმონაწილეობის შესახებ არა რეალისტური, არამედ მხოლოდ რიტორიკული ხასიათი აქვს.

2. პოტენციურ მოწინააღმდეგეთა როგორც რომელობის, ისე რაგვარობის განუსაზღვრელობა პროექტის ტექსტში იმას იწვევს, რომ განუხილველი რჩება ყოველი სამხედრო დოქტრინის მთავარი თემა – მოწინააღმდეგეთა რაგვარობისდა მიხედვით ამა თუ იმ სათავდაცვო საშუალების განვითარების საჭიროება, ამ საშუალებათა პროპორცია და მათი კომბინირების სტრატეგია. გაურკვეველი რჩება, მაგალითად, რისთვის უნდა საქართველოს საჰაერო ძალები და რა საჰაერო ძალები უნდა, რა სიღრმეზე და რა ძალის საპასუხო დარტყმისათვის ემზადება. საქართველო მასზე თავდასხმის შემთხვევაში, რამდენად ელასტიური თავდაცვისთვის ემზადება იგი (საზღვარზევე აჩერებს მოწინააღმდეგეს თუ თავის ტერიტორიის შიგნით), ერთ ფრონტზე საბრძოლველად ემზადება, ორზე, სამზე, თუ ოთხზე, რამდენად მობილური (ერთი ფრონტიდან მეორეზე ფრონტზე გადასროლადი) შეიარაღებული ძალები სჭირდება მას, რამდენად აპირებს თავისი თავდაცვის დამყარებას საკუთარ სამრეწველო პოტენციალზე და რამდენად – იმპორტზე, რა და რა გზები გაახნია ამ უკანასკნელისათვის სხვადასხვა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის შემთხვევაში და სხვა ანალოგიურად ძირეული სტრატეგიული საკითხები. ამგვარად, შემოთავაზებული სამხედრო დოქტრინა დოქტრინა არ არის. მისი ძირითადი ელემენტია დიპლომატიური ფრაზები, რომელნიც საქართველოს მშვიდობისმოყვარეობასა და დემოკრატიულ ზრახვებზე მეტყველებენ, და არა საქართველოს სამხედრო მზაობის იდეოლოგია ამ სიტყვის რაგინდარა ფართო აზრით.

3. და ბოლოს, მესამე. საქართველოს სამხედრო დოქტრინის პრინციპთა ჩამონათვალში „გამალებული შეიარაღების კოსმოსში დაუშვებლობის“ შეტანა მკაფიოდ და ცალსახად მოწმობს დოქტრინის ავტორთა ფუნდამენტურ დაუძლეველ მიბმულობას რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ეტლზე, რამდენადაც კოსმოსში შეიარაღებათა დოზის გადატანის თემა მხოლოდ რუსულ დასავლური ურთიერთობათა თემის ნაწილია – ამასთან, ამჯერად უკვე აქტუალურობადაკარგული ნაწილი და არა საქართველოს თავდაცვასთან ან მის რაიმე სხვა ინტერესებთან დაკავშირებული თემა. ცხადია, რომ რუსეთის სამხედრო ინტერესებზე ამგვარი მიბმულობა – რაც პროექტის არაერთ სხვა დებულებაშიც ჩანს – თავისთავად ნიშნავს სამხედრო ალიანსს „მესამე ქვეყნების“ წინააღმდეგ, რაც, თავისთავად, საქართველოს გზას უჭრის სხვა სათავდაცვო ალიანსებისაკენ.

# აქა ამბავი სოციალისტების ბელადის მუჩაიძის მელუდეობისა...

*რედაქციის შენიშვნა: სათაურში, წესით, ბატონი მუჩაიძე სოციალისტების კი არა, სოციალ-დემოკრატების ლიდერად უნდა იხსენიებოდეს. სოციალისტებს კიდევ სხვა ლიდერიც ჰყავს – რჩეულიშვილი. კიდევ სხვა ლიდერი – კახნიაშვილი. ამას დაუმატეთ სხვადასხვა ორლობეებში შექმნილი კამპარტიის ლიდერები: პანტელეიმონი, ივანე და სხვანი და სხვანი. ამათ ყველას სოციალისტებად გინა თუ კომუნისტებად ვიხსენიებთ. აბა რა განსხვავებაა მათ შორის? მხოლოდ ისეთი, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის რომ აღმოაჩინა ერთი ანეკდოტის ავტორმა:*

*ფუნას ურემმა გადაუარა, მცირე ნაწილი აქეთ დარჩა, დიდი ნაწილი კი იქითო. ცხადია, ამით აქეთა და იქითა „ნივთიერების“ არსი არ შეიცვლებოდა...*



„საქართველოში პოლიტიკური არსებობა შეწყდა. მას საკუთარი სახელმწიფო სახურავი გადაძვრა და დაიშალა. დარჩა უსაქმოდ მრავალი თავადაზნაურობა. მას დაეკარგა ბატონობის ისტორიული გამართლება და გადაიქცა მჭამელ წოდებად“ – ვკითხულობთ ნოე ჟორდანიას 1893 წელს გამოქვეყნებულ წერილში „ქართული სოც-დემოკრატიის როლი ერში“.

როგორც ჩანს, სწორედ მას შემდეგაა ჩვენში ასე აქტუალური, როგორც სახურავის, ანუ „კრიშის“ (უფრო რომ „გვემშობლიუროს“), ასევე „მჭამელების“, ხანდახან კი მსმელების (არცთუ იშვიათად ლუდის მსმელების) საკითხი.

„ქართული სოც-დემოკრატიის ამაწინანდელ მამას“, გურამ მუჩაიძეს ამ მხრივ ყველა ბიზნესმენზე და პოლიტიკოსზე უკეთ ჰქონდა აწყობილი საქმე – პარტიის ოფისის მარცხენა ფლიგელი ბუფეტს ეკავა, მარჯვენა კი, არალეგალურ... ლუდის ქარხანას. ქუდად ანუ „კრიშად“ ამ „წარმოებას“ თავს მთავრობის სახლის უზარმაზარი შენობა „ქურა“ (კრიმინალურ გადახურვას არ ვგულისხმობ).

„კანონის თანახმად, ჩვენ გვქონდა ოფისის იჯარით გაცემის უფლება. ოფისის სამზარეულო ოთახი (?) იჯარით გადავეცით მეწარმეს, რომელიც საქართველოში ლუდს აწარმოებდა, თუმცა საქართველოს „დემოკრატიულმა“ ტელევიზიამ, რომელიც ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა, ყველაფერი უკუღმა შეატრიალა ჩვენი კომპრომეტირების მიზნით“ – აცხადებს სოც-დეკების ყოფილი ლიდერი გურამ მუჩაიძე (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 23 სექტემბერი, 1997 წ.), თუმცა არ განმარტავს, ვისი ტექნოლოგიით აწარმოებდა ხსენებული მეწარმე ლუდს. აი, ეს უკანასკნელი კი ეთიკას არ ღალატობს და ცდილობს შემოუნახოს მთამომავლობას ავტორის ვინაობა – გურამ მუჩაიძე. ეჭვი რომ არავის შეეპაროს, იგი ამას დოკუმენტალურად ადასტურებს კიდეც: დაინიშნოს საწარმოს კონსულტანტ-ტექნოლოგად გურამ მუჩაიძე, ხელფასი განესაზღვროს თვეში 200 ლარის ოდენობით (ავი ენები კი ამბობენ, 200 კი არა 1200 იყოო!), იქვე ვკითხულობთ: დაინიშნოს ჩემს მოადგილედ ლევან მუჩაიძე (მუჩაიძე უმცროსი), ხელფასი განესაზღვროს თვეში 200 ლარის ოდენობით. ხელს აწერს ინდივიდუალური საწარმო „ემზარ მუროიანი“-ს დირექტორი ემზარ მუროიანი – თბილისი, 1997 წ. 12 თებერვალი, ბრძანება №1.

ლუდი კი, თებერვლის თვიდან, ზღვად ედინებოდა ბატონ გურამ მუჩაიძისეული „ჯადოსნური“ ტექნოლოგიის წყალობით – მოსკოვიდან ჩამოტანილ სპეციალურ ფხვნილს პლუს ონკანის წყალი. მერე რა, რომ ყოველგვარი ტექნოლოგიის დაცვის გარეშე, ყოვლად შეუფერებელ გარემოში ხდებოდა ეს. მთავარი და აღსანიშნავი აქ ბატონი გურამის თავმდაბლობა გახლავთ. ჩვეულებრივ, საყოფაცხოვრებო აბაზანაში, ჰაიპარად გარეცხილ ბოთლებს, არც მისი და არც მისი შვილის პორტრეტი არ ამშვენებდა – პროდუქცია უცხო, კერძოდ, კი, გერმანული მარკით გამოდიოდა. ჭეშმარიტად ყოვლისშემძლე ხარ „ბიზნესის“ ღმერთო და ამოუცნობია შენი გზა-სავალი!

აი, თურმე რად „გამაგრდა“ შენობაში, გავიფიქრე და ადამიანურმა სისუსტემ დამრია ხელი – შემებრალა! ეს აზრი სიცილით სოციალისტების ახალ ბელადს ჯემალ კახნიაშვილს გავუზიარე, თან ვკითხე, თუ იცოდნენ რაიმე ქარხნის თაობაზე. ვიცოდით, რომ ჰქონდა, მაგრამ თუ შენობაშივე ექნებოდა, ამას როგორ წარმოვიდგენდით. კაცურად რომ ეთქვა ჩვენთვის, იქნებ ანგარიშიც გაგვეწია, მაგრამ ახლა ისეთი ფაქტები ირკვევა, ჩვენ სულ რომ არ ამოვიღოთ ხმა, მომჩივანი და მოდავე საკმაოდ ეყოლებაო, – დასძინა. პურსერვისის გენერალური დირექტორის გურამ გეწაძის განცხადებით, გურამ მუჩაიძეს მითვისებული აქვს 6600 ლარი, რაც ოფისის ქვეშ მდებარე სარდაფის იჯარით გაცემისთვის აიღო, ცალკე გაუქმებული ბუფეტის თანამშრომლები ითხოვენ თავისას. რაც შეეხება ემზარ მუროიანს, მას მთელი თამასუქი აქვს – 3000 დოლარის ღირებულებით. ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ მან ასესხა 3000 დოლარი მუჩაიძეს, ხოლო ამ უკანასკნელმა ამ თანხის უზრუნველსაყოფად და მის სანაცვლოდ სესხში ჩადო პარტიის ოფისში არსებული და პარტიისთვის გერმანიის და ჰოლანდიის სოც-დემოკრატიული პარტიების მიერ ნაჩუქარი ორგტექნიკა (კომპიუტერი, ლაზერული პრინტერი, სკანერი, ფერადი პრინტერი).

ხელშეკრულების მიხედვით, სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში ეს ნივთები ავტომატურად გადადიოდა ემზარ მუროიანის ხელში. მუროიანს კი როგორც თავისი 3000 დოლარი, ისე ეს ნივთები თვალითაც არ უნახავს. ამ სიას მან რამდენიმე ნივთი მიამატა – მიკროავტობუსი (გაყიდული), ვიდეოკამერა, ვიდეომაგნიტოფონი, 1 ცალი ფაქსი, 2 ტელევიზორი Hitachi და JVC, 1 ცალი ქსეროქსი და 2 ტელექსი (ძველი ტელექსი გაყიდულია).

ოფისიდან გამოსულს რაჭველივით გვიან გამახსენდა, რომ თვითონ მე, მასთან ინტერვიუზე მისული, ხშირად ვისმენდი მის გოდებას ჩვენს ქვეყანაში გამეფებულ კორუფციასა და უკანონობაზე, ოღონდ ეს საყვედურები, რაღა თქმა უნდა, სხვას ეკუთვნოდა. გამახსენდა და კალამი ჩავაჩხაკუნე.

**ქეთევან ჯაყელი**

# „შევარდნაძისათვის მეტი შეურაცხყოფა, ვიდრე მისი მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობა – შეუძლებელია“

მოქალაქეთა კავშირის განცხადება სოციალისტთა მიერ გაჩაღებული ვითომდა „ახალი ცილისმწამებლური კამპანიის“ გამო კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენს მიერ დაყენებული საკითხის – პრეზიდენტის თანამდებობის მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობასთან შეუთავსებლობის – დროული გადაწყვეტა.

იმის მაგივრად, რომ ეღიარებინათ ჭეშმარიტება და უკამათოდ შეესრულებინათ კონსტიტუციის მოთხოვნა, რომლითაც პრეზიდენტს ეკრძალება ნებისმიერი თანამდებობის შეთავსება, მოქალაქეთა კავშირი ჩვენ ცილისმწამებლებს გვიწოდებს და ცდილობს, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის გზით, თავი აარიდოს კონსტიტუციურ მოთხოვნათა შესრულებას. უფრო მეტიც, ჩვენი კანონიერი მოთხოვნა შეაფასეს, როგორც „კონსტიტუციისა და მისი დაცვის გარანტის – პრეზიდენტის“ შეურაცხყოფა.

მოდით, განვსაჯოთ, ვის სჭირდება კონსტიტუციის დარღვევა – პრეზიდენტსა თუ მოქალაქეთა კავშირს? ყველასათვის ცხადია, რომ მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობა დღეს პრეზიდენტს მხოლოდ სახელს უტეხს და პრობლემებს უქმნის. დღეს, მოქკავშირს პრაქტიკულად მხარდამჭერი აღარ დარჩა საქართველოში. საკუთარი პარტიის პრივილეგირებულ წევრთა და თანამდებობის პირთა გარდა. ის, ვინც მხარს უჭერს პრეზიდენტს, ისედაც დაუჭერს მას მხარს, იქნება ის მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარე თუ არა.

ამის საპირისპიროდ, მოქალაქეთა კავშირი, პრეზიდენტის გარეშე, იმ მხარდამჭერებსაც დაჰკარგავს, რომლებიც თანამდებობის შენარჩუნებისა თუ მიღების სურვილით ერთგულებას ეფიცება მათ. ამიტომაც ფაქტობრივად „მოქალაქეები“ საკუთარ თავს და არა პრეზიდენტს უფრთხილდებიან.

ეს ახალი ტენდენცია არ გახლავთ ამ პარტიისათვის, პრეზიდენტის ავტორიტეტი სულ არ აწუხებდათ, როცა სახალხო დამცველისა თუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტს კანდიდატურები არ დაუმტკიცეს თავის თავმჯდომარეს, ვინაიდან პრინციპული სახალხო დამცველი გამოაშკარავებდა მოქალაქეთა კავშირის მიერ ადამიანის ელემენტარული უფლებების სრულ იგნორირებას, ხოლო ეროვნული ბანკის თავმჯდომარედ მორჩილი, „თავისი“ ბანკირი სჭირდებათ; არც საგადასახადო დავალიანებების გადავადების უფლება დაუმტკიცეს თავის თავმჯდომარეს, თუმცა ეს იყო ის ერთადერთი საშუალება, რაც საგადასახადო პრესით გაჭყლეტილ მეწარმეებს რაიმე შეღავათს მისცემდა. მაგრამ, მათ ძალების კონცენტრაცია თავის ხელში სურთ და არა პრეზიდენტისა – იუსტიციის საბჭოს შექმნა ხომ ამის აშკარა დადასტურებაა – უკვე სასამართლო ხელისუფლების გაკონტროლებასაც ლამობენ. ისღა დარჩენიათ, რომ პირდაპირ აღადგინონ საბჭოური კონსტიტუციის ძირითადი დებულება – მმართველი პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შესახებ.

ყველა, ბიზნესმენი თუ მოსამართლე, მინისტრი თუ გამგებელი, საგადასახადო ინსპექცია თუ საბაჟო – მათი აზრით, მხოლოდ მათ უნდა ემსახურებოდნენ. პრეზიდენტს ეცილებიან ძალაუფლებაში და სხვას რას დაუთმობენ?

მაგრამ, ყოველივე ეს მანამდე გასდით, სანამ პრეზიდენტია მათი თავმჯდომარე. აი, ამიტომაც არ სურთ კონსტიტუციის მოთხოვნათა შესრულება.

ამ მიზნის მისაღწევად მოქალაქეთა კავშირი საზოგადოების გაბრიყვება-მოტყუებასაც არ თაკილობს. თითქოს არ ესმოდეთ, რომ დღეს წერა-კითხვა ყველას შეუძლია. მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი მოურიდებლად აცხადებს, რომ თითქოს პარტიის წევრობა და შესაბამისად პარტიული თანამდებობის დაკავება ეკრძალებათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა ზუსტი ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლში (კურსივი ჩვენია).

სინამდვილეში, აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტში მოცემულია მხოლოდ იმ პირთა ჩამონათვალი, რომელთაც ეკრძალებათ პოლიტიკური გაერთიანების წევრობა და არაფერია ნათქვამი პარტიულ თანამდებობაზე, რადგანაც საქართველოს კონსტიტუ

გაგრძელება მე-8 გვ.

# ცოტას შეგპირდებით, მაგრამ შევასრულებთ

პირველი გვერდიდან

ბული კაცი ბრძანდებით, ჩამოხვედით და ყველაფერს დალაგებით ამბობთ. ამას წინათ რჩეულიშვილი იყო ჩამოსული, იმის წინა კიდე – სხვაო. იმათაც ეგრე დალაგებული პასუხები მოგვცეს, ზუსტად ემაგ საკითხებზედა. ახლა მითხარით, რა უნდა ვქნა მე, რომელი უნდა ავირჩიო, რით განსხვავდება თქვენი პოზიცია იმათისგანა?“.

„ჩვენი პოზიცია არ არის მხოლოდ სასიამოვნო პერსპექტივების დახატვა. მისი თავისებურება ის არის, რომ დასახული ამოცანის გადაწყვეტის რეალურ გზებს გთავაზობთ, რაც საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, შესაძლებელია ჩვენი ძალებით მოგვარდეს. არც ისეთ რამეს არ ვპირდებით არავის, რისი შესრულებაც შეუძლებელია. ცოტას შეგპირდებით, მაგრამ შევასრულებთ, თქვენ თვითონ დაფიქრდით, ეს ცოტა გირჩევნიათ, თუ მილიონი სამუშაო ადგილი და სხვა ამგვარი ილუზიები“, – უპასუხა ლეიბორისტთა ლიდერმა.

**პაატა მანჯგალაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თემურ მასხულია:

# ჯ.იოსელიანმა ხაჩიშვილს მიაყენა პიროვნული შეურაცხყოფა — შემოგდებული ხარო...

*ხელთ ჩაგვივარდა თავდებში გამოშვებული ბიზნესმენის თემურ მასხულიას მიერ საპატიმროდან პრეზიდენტისათვის მიწერილი საიდუმლო მასალა. რაც აქ წერია, თუ ეს ყველაფერი მართალია, კიდევ რითი არსებობს ეს ჩვენი ბედკრული ქვეყანა ამდენი აგენტის ხელში, რომელნიც ერთმანეთისათვის მახის დაგებით არიან გართულნი? ხოლო თუ ტყუილია, ვინ კარნახობდა მასხულიას ამის დაწერას? ყოველ შემთხვევაში, ბიზნესმენმა ჩვენთან საუბარში არ უარყო, რომ განცხადება მისი ხელითაა დაწერილი.*

*ალბათ, მომდევნო ნომერში იგი კომენტარს მოგვაწვდის, იმედია განცხადებაში ხსენებული პირებიც მიაწვდიან საზოგადოებას ქვემორე ბრალდებებზე პასუხებს, მათი დუმილი ამჯერად ოქრო ნამდვილად ვერ იქნება...*

*ჩვენის მხრივ ერთს ვიტყვით: ტექსტი რომ სპეცსამსახურის კარნახითაა დაწერილი, ამას დაკვირვებული თვალი ადვილად მიხვდება...*

საიდუმლო

საქართველოს პრეზიდენტს
ბ-ნ ედუარდ შევარდნაძეს
საქართველოს მოქალაქე
თემურ მასხულიას

განცხადება

მოგახსენებთ, რომ 1988 წლიდან მოყოლებული ვარ იმ პოლიტიკური ამბების მომსწრე და უშუალო მონაწილე, რომელიც მიმდინარეობდა რესპუბლიკაში. ამ საკითხებთან დაკავშირებით გამაჩნია როგორც ჩვეულებრივი, ასევე კონფიდენციალური ინფორმაციები, აქედან გამომდინარე, ზოგიერთ მოვლენებში უშუალოდ მაქვს მონაწილეობა მიღებული, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გამაჩნია გადამოწმებული ინფორმაციები ჩემი კავშირების მეშვეობით – სპეცსამსახურების თანამშრომლებთან.

ამ განცხადების მომართვის მიზანი არის ნათელი მოვფინო და გამოვააშკარავო ის უარყოფითი მოვლენები, რომლებმაც ტრაგიკულად იმოქმედეს საქართველოს მომავალზე. აგრეთვე ვამხილო ის პირები, რომლებიც ინსპირატორები და შემსრულებლები იყვნენ ამ მოვლენების.

კერძოდ, მე მიმაჩნია (ჩემი მონაცემების თანახმად), „ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო საქართველოს უშიშროების სამსახურის ყოფილი თავმჯდომარე, იგორ გიორგაძე. უკვე 1992 წელს ჩემთვის ცნობილი იყო მისი კავშირი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მთავარ სადაზვერვო სამმართველოსთან – გენერალ ივანენკოვთან და მის თანამშრომლებთან. ამ დროიდან იგი დანიშნული იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს უფროსად, რის შესახებაც მე წინასწარ მითხრა მისმა მეგობარმა კობალაძემ. გადამოწმების შემდეგ აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა, ისიც გაირკვა, რომ გიორგაძის დანიშვნა ამ თანამდებობაზე მოხდა კიტოვანთან გენერალ ივანენკოვის საუბრის შემდეგ, რასაც მოჰყვა გიორგაძის, თ.ხაჩიშვილის და თ.კიტოვანის ერთ გუნდად ჩამოყალიბება. ყოველივე ამის შედეგად ჩამოყალიბდა საქართველოს ტერიტორიაზე ძალა, რომელსაც უნდა დაეცვა რუსეთის ფედერაციის ინტერესები საქართველოს ტერიტორიაზე (სამხედრო ბაზები და ა.შ.). ზემოთ თქმული რომ უფრო კონკრეტული იყოს, გიორგაძის საქმიანობასთან დაკავშირებით, მე მინდა ერთი ფაქტი გავიხსენო, რომელიც ემთხვევა 1991 წლის პერიოდს. ამავე წლის მარტის თვეში მე ვხელმძღვანელობდი „მხედრიონს" და ვუშვებდი გაზეთს მხედრიონის ეგიდით, რომლის გამოშვება შეუძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიაზე იქიდან გამომდინარე, რომ ეს გაზეთი მოწოდებული იყო მაშინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით მივმართე ი.გიორგაძეს, დამხმარებოდა. მან მართლაც შეასრულა ჩემი თხოვნა, დაუკავშირდა სომხეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს შეიარაღების დარგში გენერალ ა.როიანს (რომელიც აგრეთვე დანიშნულია რუსეთის ფედერაციის მთავარი სადაზვერო სამმართველოს – გრუ-ს რეკომენდაციით), რომელმაც გიორგაძის თხოვნა შეასრულა.

გიორგაძის უშიშროების მინისტრად დანიშვნის შემდეგ – რაც ჩემთვის ცნობილი იყო ორი თვით ადრე მისი ჯგუფელების, ამჟამად ФСБ-ს თანამშრომლების ვ.ქაროვის და აბრიუხანოვის მეშვეობით – აშკარად გამოიკვეთა მისი და ხაჩიშვილის ალიანსი. საუბედუროდ, ამ ალიანსმა ჩემზე უარყოფითად იმოქმედა, იქიდან გამომდინარე, რომ თ.ხაჩიშვილი თავის დროზე იყო ჩემი პირადი მძღოლი და მისი წარსული ჩემთვის კარგად იყო ცნობილი, ამის გამო მან ორჯერ სცადა ჩემი ფიზიკური განადგურება მისი შს მინისტრის პოსტზე ყოფნის პერიოდში. ამ შემთხვევაში ჯ.იოსელიანის დახმარებით და ჩემი შესაძლებლობების გამოყენებით ორჯერვე შევძელი თავის გადარჩენა. ხოლო მისი უშიშროების სამინისტროს მოადგილის პოსტზე მოსვლის შემდეგ მან მოახერხა ი.გიორგაძეს გადაკიდება ჩემზე და დამიწყო ფარული მეთოდებით ხელის შეშლა, რის თაობაზეც მე მივაკითხე ჯ.იოსელიანს დახმარებისათვის. ჯ.იოსელიანის მიერ თ.ხაჩიშვილთან საუბრისას თ.ხაჩიშვილმა უარყო ყველაფერი. ამის შემდეგ, ვინაიდან ვიმყოფებოდი გამოუვალ მდგომარეობაში, მივაკითხე დახმარებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებულ გრუ-ს ხელმძღვანელს ე.მარუსინს, რომელმაც შემდგომში დაიბარა თ.ხაჩიშვილი და კატეგორიულად გააფრთხილა, ჩემთვის თავი დაენებებინა. რამოდენიმე დღის შემდეგ ი.გიორგაძემ თხოვა ემარუსინს, მისული იყო მასთან კაბინეტში, სადაც მას აგრეთვე დახვდა თ.ხაჩიშვილი. ამ შეხვედრაზე ი.გიორგაძემ გამოთქვა უკმაყოფილება მარუსინის მხრიდან თ.ხაჩიშვილის მიმართ კატეგორიულ განცხადებაზე და საბოლოო ჯამში საუბარი კონფლიქტით დამთავრდა. ამ საუბრის შემდეგ მოხდა უკვე ურთიერთდაპირისპირება გიორგაძე-ხაჩიშვილს და ჩემსა და მარუსინს შორის. ის ნაბიჯი, რომელიც მათი მხრიდან იყო გადადგმული, იყო შემდეგი: გიორგაძე ესტუმრა გენერალ ფრეუტს და განუცხადა, რომ ემარუსინი ჩემთან იჯდა 20% (ე.ი. წილში მყავდა) და აგრეთვე მე ვიყავი ედპ-ს წევრი. გარდა ამისა, მან უთხრა გია ჭანტურიას, რომ მე ვიყავი გრუ-ს თანამშრომელი მეთაურის წოდებით. ასეთმა აშკარა დაპირისპირებამ ჩემში გამოიწვია უარყოფითი რეაქცია და შევუდექი მათზე მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვებას. კერძოდ, ჩემთვის ცნობილი გახდა, როგორც გრუ-ს რეზიდენტის ოპერატიული ფსევდონიმი – „16" და მისი ადრინდელი ფსევდონიმი „РЫЖЫЙ". აგრეთვე დავიწყე მისი ფინანსური შემოსავლების დადგენა, კერძოდ, შვეიცარიიდან იხსნებოდა მისთვის ს.ნიკიტინის მეშვეობით, ხოლო თურქეთიდან ანალოგიური ხორციელდებოდა გ.დავითაძის მიერ ფულადი თანხის გადაცემა, რომელმაც საბოლოო ჯამში შეადგინა 3 მილიონ ამერიკულ დოლარამდე. გადაუმოწმებელი ინფორმაციით ი.გიორგაძე და თ.ხაჩიშვილი მოსკოვში ჩვენი საელჩოს – ძალოსმიერი სტრუქტურების წარმომადგენლების მეშვეობით მონაწილეობას ღებულობდნენ ნარკოტიკების ტრანსპორტირებაში (ამ საკითხში საკმაოდ გარკვეული ვარ, ვინაიდან საქართველოს ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურს ამოვაღებინე 1 კგ ოპიუმი). რაც შეეხება ნარკოტიკებით ვაჭრობას, ისინი ამას გენერალ ფ.რეუტის მეშვეობით აწარმოებდნენ. ასევე ცნობილი გახდა, რომ 1991 წელს ი.გიორგაძე დაკავებული იყო გერმანიის ტერიტორიაზე სპეც-სამსახურის БНД-ს თანამშრომლების მიერ უკანონო ფინანსურ მაქინაციებში თანამონაწილეობის გამო, რის გამოც 3 თვის განმავლობაში იგი დაპატიმრებული იყო და რომლის დროსაც გადაბირებულ იქნა და გადაცემული აშშ-ს მთავარ სადაზვერო სამმართველოზე. ყოველივე ზემოთ თქმული აისახა ემარუსინის მოხსენებაში (რომელიც მაქვს წაკითხული) და რომელიც გადაეცა მოსკოვში გრუ-ს ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, მე ეს ინფორმაცია გადავეცი ФСБ-ს თანამშრომლებს, რის შემდეგაც მოხდა ი.გიორგაძის კომპრომეტირება და ურთიერთობების გაფუჭება შესაბამის სამსახურებთან.

მინდა ხაზი გაუსვა იმ გარემოებებს, რომ ჩემთან კონფრონტაციაში იმყოფებოდნენ ის პიროვნებები, რომელთა კარიერის შექმნაში წვლილი მიმიძღოდა. კერძოდ, ი.გიორგაძის უშიშროების მინისტრის პოსტზე დამტკიცების პერიოდში მისი მეგობრების და პირადად ა.აბაშიძის თხოვნით მოვახერხე დეპუტატთა გარკვეული ნაწილის (უარყოფითად განწყობილის) შეგროვება მისი კანდიდატურის დასამტკიცებლად.

ყოველივე ამის შემდეგ ი.გიორგაძის და თ.ხაჩიშვილის ერთადერთი დასაყრდენი ძალა გახდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო – პ.გრაჩოვისა და ფრეუტის სახით, რომლებსაც ი.გიორგაძემ და თ.ხაჩიშვილმა მიმართეს კონკრეტული წინადადებით, რაც ითვალისწინებდა სახელმწიფოს მეთაურის ლიკვიდაციას. ჩემის აზრით, ასეთი უკიდურესი ფორმის ქმედების იდეა დაებადათ მას შემდეგ, რაც გაუფუჭდათ ურთიერთობები რუსეთის სპეცსამსახურებთან და მათი კარიერის მომავალი ეჭვის ქვეშ დადგა. ნიშანდობლივია ისიც, რომ ი.გიორგაძეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საუბარი ФСК-ს მაშინდელ შეფთან – სტეპაშინთან, რომლისგანაც მან მიიღო შემდეგი პასუხი: დაანებე შენ შევარდნაძეს თავი, ვინაიდან ამ პერიოდისათვის საქართველოში უკეთესი პიროვნება არ მოიძებნება. ჩემი აზრი ამ ამბავთან დაკავშირებით, რომ ი.გიორგაძის ასეთი გადაწყვეტილება მართლაც უკიდურეს ხასიათს ატარებდა. ამას მოწმობს ის ფაქტები, რომლებიც ჩემთვის ცნობილია. კერძოდ, 1992 წელს ქობულეთში, ე.წ. პატიაშვილის „დაჩაზე" მოხდა შეხვედრა ა.აბაშიძეს, ი.გიორგაძეს და ლ.ქობალიას შორის, სადაც ი.გიორგაძის წინადადებით ლ.ქობალიას უნდა განეხორციელებინა სამხედრო მარში თბილისისკენ, რომლის ოპერატიულ უზრუნველყოფას თავის თავზე ღებულობდა ი.გიორგაძე, ხოლო იარაღით და ფინანსებით უზრუნველყოფდა ა.აბაშიძე. ანალოგიური შეხვედრა შედგა რამოდენიმე ხნის შემდეგ ქბათუმში იმავე შემადგენლობით და ი.გიორგაძის წინადადებაც მიღებული იქნა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევებში ი.გიორგაძე სხვისი ხელით სახელმწიფოს მეთაურის მოცილებას ცდილობდა და ჰყავდა კონკრეტული შემსრულებელი.

რაც შეეხება გასული წლის 29 აგვისტოს მოვლენებს, კერძოდ, გიორგაძე-ხაჩიშვილის იდეა – სახელმწიფო მეთაურის ლიკვიდაცია – ჩემთვის ცნობილი იყო დაახლოებით ერთი თვით ადრე. იმასთან დაკავშირებით, რომ პირადი დაინტერესების გამო მიწევდა გამეკონტროლებინა გიორგაძე-ხაჩიშვილის ქმედებები. ზ.ჯინჭარაძისგან მივიღე სიგნალი, რომელიც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა თ.ხაჩიშვილის მხრიდან ნდობით აღჭურვილ პირთან ზაქარეიშვილთან, რომელმაც პირად საუბარში აღნიშნა, რომ მალე ედ.შევარდნაძეს ჩამოაგდებდნენ და ამის შემდეგ რაც მე ბენზინში მქონდა ნაშოვნი, მიმატანინებდნენ. ამის შემდეგ მე ვნახე რუსთავის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი დ.დათუაშვილი, რომელიც კონფრონტაციაში იმყოფებოდა თ.ხაჩიშვილთან და ი.გიორგაძესთან. შეხვედრისთანავე აქეთ მკითხა იმის შესახებ, რომ რამე ხომ არ ვიცოდი მეთაურის ჩამოგდებასთან დაკავშირებით, იქიდან გამომდინარე, რომ მას ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თ.ხაჩიშვილის მამა ხშირად იმეორებდა იმას, რომ მალე ჩამოაგდებენ შევარდნაძეს და მის შვილს შს მინისტრად დააბრუნებენო. მე ეს ინფორმაცია გადავამოწმე და გადამოწმების პროცესში დავადგინე, რომ თ.ხაჩიშვილიც ანალოგიურს ლაპარაკობდა თავის წრეში. გარდა ამისა, ქობულეთის სანატორიუმ „ივერიაში" შემთხვევით შევხვდი გ.პაპუაშვილს, რომლისგანაც გავიგე, რომ იგიორგაძე იმყოფებოდა თურქეთში და იგი ელოდებოდა მას სასტუმრო „ინტურისტებში". ამის შემდეგ გ.პაპუაშვილი დავპატიჟე სუფრაზე, სადაც ვიჯექით მე და მარუსინი ჩვენი ოჯახის წევრებთან ერთად. მაგიდასთან ჯდომის პერიოდში მე ვეცადე მიეღო მას დიდი დოზით ალკოჰოლური სასმელი, რაც ჩემს მიერ მიღწეული იქნა და ამის მერე მე მას დაუუსვი შეკითხვა, თუ რას აპირებდა ის და მისი მინიტრი მომავალში, რაზეც მან ყოველივე კონტროლის გარეშე მიპასუხა: სულ მალე ძალაუფლებას ჩაიგდებდნენ, ყველაფერი მათ ხელში იქნებოდა. მისი წასვლის შემდეგ მარუსინს შევეკითხე, თუ რას ნიშნავდა მისი აზრით პაპუაშვილის ასეთი განცხადება, რაზეც ამ უკანასკნელმა მიპასუხა, რომ ის საქმის კურსში არ იყო ამასთან დაკავშირებით, რომ 1995 წლის 10 ივნისიდან აღარ მსახურობდა თავის თანამდებობაზე და თუ ეს საკითხი ძალიან მაინტერესებდა, მაშინ მე შემეძლო მის კადრთან, ვახო ბეგიაშვილთან დამეზუსტებინა. ამავე პერიოდში (8 აგვისტოდან 16 აგვისტომდე) ვიმყოფებოდი საბერძნეთში, 17 აგვისტოს ვიყავი ბათუმში, ხოლო 22 აგვისტოს ვიმყოფებოდი თბილისში, როდესაც ვნახე ვბეგიაშვილი, რომელმაც მითხრა შემდეგი რამ: ი.გიორგაძის, ფრეუტის და ხაჩიშვილის მეშვეობით კეთდება ორგანიზაცია 20 კაციანი ტერორისტული ჯგუფით, სახელმწიფოს მეთაურის ლიკვიდაციისათვის. ლიკვიდაციის შემდეგ ხელისუფლების ორგანოებში ხდებოდა შემდეგი ცვლილებები: უშიშროების მინისტრად რჩებოდა ი.გიორგაძე, შსს მინისტრად გადადიოდა თ.ხაჩიშვილი.

ცვლილებები ამ პერიოდში ასე ხდებოდა: პარლამენტი და სპიკერი ინარჩუნებდა თავის ფუნქციას და ნიშნავდა ახალ არჩევნებს, ხოლო სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციას შეასრულებდა პრემიერ-მინისტრი, რომლის თანამდებობაზე არჩევნების შემდეგ მოვიდოდა ასლან აბაშიძე. 1995 წლის 29 აგვისტოს თბილისის აეროპორტში (სამხედრო) ვაცილებდი მარუსინს მოსკოვში, მგზავრებში ვიცანი ვნადიბაიძე და მისი მოადგილე ნიკოლაიშვილი და ГРВЗ-ის სამხედრო შტაბის უფროსი და სარდლის მოადგილე. გაცილების შემდეგ მე დავბრუნდი ოფისში, ჭავჭავაძის ქუჩაზე. ჩემი იქ მისვლის მომენტიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მოხდა აფეთქება. აფეთქების შემდეგ მოვლენები განვითარდა შემდეგნაირად: თბილისში მოფრინავს ი.გიორგაძე რფ თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან და ცდილობს სიტუაციის შემობრუნებას, რაც არ გამოუვიდა. ამის შემდეგ ხუთი მანქანით თავის მგზავრებთან შედის ГРВЗ-ს ტერიტორიაზე და ფ.რეუტის დახმარებით სამხედრო აეროპორტიდან მიფრინავს მოსკოვში. ამის შემდეგ იგი აგრძელებს თავის განზრახვებს და გეგმავს ორი სნაიპერის გამოგზავნას სახელმწიფო მეთაურის ლიკვიდაციისათვის, რომელთა მეგზურობაც უნდა ეკისრა (მეგზურობა და ამავე დროს ორგანიზება) გ.პაპუაშვილს. სნაიპერების ჩამოსვლასთან დაკავშირებით ინფორმაცია დროულად იქნა ჩემს მიერ მიღებული, რომელიც მე გადავეცი უშიშროების თანამშრომელს გ.სულაძეს. რის შემდეგადაც მოხდა პაპუაშვილის აყვანა და ტერორისტული აქტი ჩაიშალა.

დამატებით გაცნობებთ ამ მოვლენებთან დაკავშირებით, რომ 1995 წლის 26 აგვისტოს შევხვდი ჯ.იოსელიანს, ნაწილობრივ ვუამბე მოსალოდნელი მოვლენების შესახებ და ამ მოვლენებში თ.ხაჩიშვილის მონაწილეობის შესახებ და ვურჩიე განდგომოდა თ.ხაჩიშვილს მისი პირადი უსაფრთხოების გამო. მან მიპასუხა, რომ ხაჩიშვილი დადის მოსკოვში, აქვს მისთვის გაურკვეველი და გაუგებარი ურთიერთობები და თუ რამეს მოიმოქმედებს, თვითონვე აგებს პასუხსო. 29 აგვისტოს შემდეგ, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი ზურაბ დანელიასგან, ჯ.იოსელიანმა თავის აგარაკზე დაუძახა თ.ხაჩიშვილს და გელაშვილს გამწარებულმა უსაყვედურა შემდეგ კონტექსტში: თუ საქმე არ იცით, რას კიდებთ ხელსო და თ.ხაჩიშვილს მიაყენა პიროვნული შეურაცხყოფა (შემოგდებული ხარო).

გარდა ამისა, 1990 წლიდან რუსეთის სპეც-სამსახურებმა მნიშვნელოვნად გააქტიურეს ოპერატიული მუშაობა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში, მმართველობის და ეკონომიკის სფეროებში მოღვაწე პირებიდან დაწყებული, დამთავრებული კრიმინალურ სამყაროში დასაქმებული ადამიანებით, რისი რეალური მაგალითია „მხედრიონი". აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებულ გრუ-ს ხელმძღვანელს ემარუსინს მისი მოღვაწეობის პერიოდში ჰქონდა სანდო ურთიერთობები, საიდანაც გამორიცხული არ იყო მათი კავშირების ოპერატიული ხასიათიც, რაზეც გამაჩნია საკმარისი ინფორმაციები. საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ემარუსინი ამ დროისთვის ასრულებდა თავის თანამდებობრივ მოვალეობას.

რუსეთის სპეცსამსახურების აქტიურობის თვალნათლივი მაგალითებია საქართველოში დატრიალებული ტრაგედიები სამაჩაბლოში, აფხაზეთში, სამოქალაქო ომი და ამჟამადაც არსებული ცხელი წერტილები. ამასთან დაკავშირებით მახსენდება 1991 წლის 2 სექტემბრის ორგანიზება და უშუალო შემსრულებლები: გურამ მგელაძე, იგორ გიორგაძე, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, თემურ ხაჩიშვილი და გრუ-ს გენერალი ივანენკოვი. მიტინგის ორგანიზება და კონტროლირება ხდებოდა გრუ-ს მეშვეობით. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულმა აქციამ დასაბამი მისცა საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყებას და ყველა ნეგატიური მოვლენების განვითარებას, რომლებიც გრძელდება დღემდე.

ბატონო ედუარდ! განცხადებაში განხილული საკითხების და სხვა საკითხების შესახებ წარსულში მქონია დიდი სურვილი მეცნობებინა თქვენთვის, მაგრამ სუბიექტური მიზეზების გამო (თ.ხაჩიშვილი, გიორგაძე და სხვა) აღნიშნული შეხვედრები არ შედგა. ამჟამად მაქვს საშუალება უშიშროების სამინისტროს დახმარებით მეცნობებინა თქვენთვის აღნიშნული.

როგორც პიროვნება, გარკვეული ბიზნესში, პოლიტიკაში (ნაწილობრივ) ფართო წრეებში კავშირების მქონე, რეალისტი და თქვენი მხარდამჭერი, მზად ვარ შევასრულო და გადავწყვიტო ყველა საკითხი და პრობლემები, რომლებიც დადგება რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში.

განმცხადებელი თ.მასხულია
04.07.96 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული მოღვაწე და კოსმოპოლიტი მიმომხილველი

## როსტომ ჩხეიძე



შესაძლოა, ჩემს შეუხსენებლადაც გახსოვდეთ.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1996 წლის 16 თებერვლის ნომერში თამაზ წივწივაძემ მკითხველებს აუწყა: „...მე კარგად შემიძლია ვაჩვენო ესა თუ ის პიროვნება რამდენადაა დასაშვებ ნორმაზე მაღალი და დასაშვებ ნორმაზე გაცილებით უნიჭო!.. თუ ამ კუთხით ბატონ ნ.ლომოურის დღევანდელი მდგომარეობა გაინტერესებთ, აუცილებლად უნდა მიადევნოთ თვალი „ლიტერატურული საქართველოს“ მომდევნო ნომრებს!..“

ბ-ნ თამაზს ეს რომ ნამდვილად კარგად შეუძლია, არც ადრესატს შეპარვია ეჭვი და საჩქაროდ მოიბოდიშა მის წინაშე იმ შეურაცხყოფისათვის, „საქართველოს რესპუბლიკის“ 9 თებერვლის ნომერში რომ მიაყენა.

მაშინ, ეტყობა, ბევრი რამ ვერ გაითვალისწინა და ეშხში შესულმა ვეღარ მოზომა, რა საფრთხეში იგდებდა თავს.

ახლა კი, თავზარდაცემულმა, ამჯობინა წყენა გულში ჩაეკლა, „დასაშვებ ნორმაზე გაცილებით უნიჭო“ რომ უწოდეს, უხმოდ გადაეყლაპა და ბოდიშებით აერიდებინა თამაზ წივწივაძის „მძიმე ხელი“.

ეშხში შესულმა ვეღარ მოზომაო...

ქართული ხელოვნების ისტორიის, საერთოდ, ჩვენი წარსულის ახლებურად გააზრების წინააღმდეგ გაილაშქრა, მონდომებით სცადა თენგიზ მირზაშვილისა და მისი თანამოაზრეთა ჩაქოლვა და, რაკილა მათ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებიდან მოახერხეს თავიანთ შეხედულებათა გაცნობა მკითხველისათვის, გაზეთის რედაქტორს ამიტომაც გაუნაწყენდა.

მკაცრმა რეპლიკამ და მოსალოდნელმა სატირულმა პორტრეტმა ისე იმოქმედა, სულაც ჩამოშორდა ამ პოლემიკას.

სამაგიეროდ, პავლე ინგოროყვას სახელს შებედა იოლად და დაუზოგავად აქიაქა სიმონ ყაუხჩიშვილისადმი მიძღვნილ გაურკვეველი ჟანრის წიგნში.

დაუზოგავად და... დასაშვებ ნორმაზე გაცილებით უნიჭოდ.

ეტყობა, ამ ჩვენს ავტორს პავლე ინგოროყვა გარდაცვლილი ჰგონია.

ავტორს თითქოს არ ღალატობს ობიექტურობის გრძნობა და თავის წიგნს „სიმონ ყაუხჩიშვილი (მეცნიერი, მოძღვარი, ერისკაცი, მოქალაქე)“ წინათქმაში იხსენიებს „მრავალი ნაკლის მქონე პატარა ნაცოდვილარად“.

დარწმუნებული ვარ, ვინც წიგნს გაეცნობა, მისთვის ამ თვითშეფასების უეჭველობა საკამათო არ იქნება. და ასეთ დროს, აბა, რა მრჯის, ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნის გამოთქმა რომ მოვინდომე? როგორი დეტალურობითაც უნდა განვიხილოთ ეს გაურკვეველი ჟანრის თხზულება, საბოლოო დასკვნისას ავტორის თვითშეფასების განმეორება მოგვიწევს. ამიტომ იქნებ არც ღირდა მოცდენა მრავალი ნაკლის მქონე ამ ნაცოდვილარზე, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ერთადერთი გარემოება, რითაც ნოდარ ლომოურს თავი ესახელება, სიმონ ყაუხჩიშვილის უარყოფითი მხარეების დაუფარავი აღნიშვნაა: მართალია, ეს პიროვნება ქართველთათვის ერთი ჭეშმარიტი კერპთაგანი უნდა იყოს, მაგრამ მაინც არ გამომიყვანია იდეალიზებულ ფეტიშად, მისი ზოგიერთი უარყოფითი მხარე ამიტომაც მოვიხსენიეო.

თავისთავად ასეთი ნაბიჯი არამცთუ გამართლებული, მოსაწონიც არის, თვით შენთვის ძვირფასი ადამიანის ნაკლოვანებებსაც რომ არ არიდებ თვალს, მაგრამ ამჯერად იმ „ზოგიერთი უარყოფითი მხარის“ გამოაშკარავებაში უკეთური მიზანია ჩათქმული: კიდევ ერთხელ პავლე ინგოროყვას სახელის შებღალვა, თითქოს ლანძღვა და თრევა დაკლებოდეს.

ნუ გაიკვირვებთ: რა შუაშიაო.

როგორ გგონიათ, რა არის სიმონ ყაუხჩიშვილის ეს პიროვნული ნაკლოვანება?

რა და: პავლე ინგოროყვას მიმართ მისი სიყვარული და ნდობა.

„უჩვეულო სიყვარულიო“, გვიმტკიცებს ჩვენი ავტორი, „რაც სიმონ ყაუხჩიშვილს ერთგვარი ჰიპნოზის ქვეშ აქცევდაო“.

ბევრი ფიქრისა და თავისტეხის შემდეგ არის მიგნებული ეს „პირადული“ მოტივი, ამ „უკომპრომისო და ჭეშმარიტ მკვლევარ-მეცნიერს“ პავლე ინგოროყვას „მოკავშირედ“ რომ ხდიდა.

ერთგვარი ჰიპნოზის გარდა, თურმე ეს იმითაც ყოფილა გამოწვეული, რომ „პატრიოტიზმის გაგების საკითხში“ ბატონ სიმონს ერთი სისუსტე ახასიათებდა: „საერთოდ... მკაცრი დამცველი იყო მეცნიერებაში ობიექტური ჭეშმარიტებისა და მიუდგომლობის, მაგრამ ერთ გამონაკლისს მაინც უშვებდა: თუ ეროვნული ინტერესების, ერის პრესტიჟის სასარგებლოა, შეიძლება მეცნიერულ დასაბუთებას გვერდი აუარო და ზოგ რამეზე თვალი დახუჭო“.

ჩვენი ავტორისათვის კი ასეთი შეხედულება ყოვლად მიუღებელია და ამიტომაც დასძენს წუხილით, „უშვებდა ასეთ გამონაკლისს ბატონი სიმონი და რას იზამ!“ – მაგრამ ვისაც გული ერჩის, მასწავლებელსაც არ შეეპუება და ნოდარ ლომოური თავმდაბლად, ოღონდ სიამაყის შეგნებით გვაცნობს თავისი ალალ-მართალი და მეცნიერული ჭეშმარიტებისათვის გადაგებული ცხოვრების ადრეულ ფურცლებს.

„და აი, აქ მე მომიხდა პირველად მასთან დაპირისპირება, რამაც ცოტა ხნით ჩვენი ურთიერთობა დაძაბა. ეს ამბავი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენს მეორე ცნობილ მოღვაწესთან პავლე ინგოროყვასთან“ – სიმართლისათვის ბრძოლის დრამატული ქარგა აქედან უნდა გაიშალოს და საქმეში ჩაუხედავი მკითხველი შეუძლებელია სულგანაბული არ დაელოდოს მოვლენათა განვითარებას ისე, რომ მაინცდამაინც აღარ წასცდეს ხელი მონათხრობის სტილურად ჩასწორებისათვის. „პატრიოტიზმის გაგების საკითხიც“, „გამონაკლისს მაინც უშვებდაც“, „მჭიდროდ დაკავშირებული ამბავიც“ და სხვა ამგვარები ქმნიდა საბჭოურ-საგაზეთო სტილს, რომელიც არა და არ ჩაბარდა ისტორიას.

დრამატული ქარგა უნდა გაიშალოსო...

ერთ მხარეს დგას მეცნიერებაში ობიექტური ჭეშმარიტებისა და მიუდგომლობის მკაცრი დამცველი, ვინც ერთ გამონაკლისს მაინც უშვებს, ხოლო მეორე მხარეს – ობიექტური ჭეშმარიტებისა და მიუდგომლობის ასეთივე მკაცრი დამცველი, ვინც იმ ერთ გამონაკლისსაც არ უშვებს.

საჯილდაო ქვა კი პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეა“, უფრო ნიშანდობლივად – ის თავი, აფხაზეთის კუთხის ისტორიას რომ ეძღვნება.

სიმონ ყაუხჩიშვილს მეგობართაგან არავინ უყვარდა ისე ძლიერად, როგორც პავლე ინგოროყვა. როგორი შეუვალიც იყო მისთვის ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული ავტორიტეტი, ასევე ხელშეუხებელი იყო პავლე ინგოროყვას მეცნიერული მტკიცება-დებულებებიო, – გვამცნობს ჩვენი ავტორი და იქვე ჩნდება პირადი შთაბეჭდილებანიც: „მე არაერთხელ შევსწრებივარ ბატონი პავლესა და სიმონის საუბრებს, ამა თუ იმ პრობლემის თუ კონკრეტული საკითხის განსჯა-განხილვას და ეს ყოველთვის უაღრესად საინტერესო იყო ჩემთვის. ბატონი პავლე ისე ოსტატურად, ისე ყოველმხრივ განიხილავდა ხოლმე პრობლემებს, ისე ლოგიკური დამაჯერებლობით ასაბუთებდა ხოლმე თავის შეხედულებებს, რომ მე სულგანაბული და აღტაცებული ვუსმენდი მას და ვხედავდი, რომ თანხმობითა და თანადგომით იყო მისი მტკიცებებისადმი განწყობილი ბატონი სიმონი და ეს კი ჩემთვის უდიდესი ატესტაცია იყო“.

დამეთანხმებით, ეს შთაბეჭდილება ისეა გადმოცემული, ჩვენი ავტორი პავლე ინგოროყვას მეხოტბეც კი შეიძლება გეგონოს, მაგრამ თურმე კონტრასტის ხერხია მოშველიებული იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ დააღწია თავი ჩვენმა ავტორმა პავლე ინგოროყვას ჰიპნოზს, მისი მასწავლებელი კი კვლავაც ჰიპნოზის ტყვეობაში დარჩა და მეტად სავალალო ნაყოფიც გამოიღო ასეთმა სრულმა მორჩილებამ.

არადა, თითქოს არაფერი უნდა დაშავდეს: მართალია, პავლე ინგოროყვამ ბრწყინვალედ იცოდა ძველბერძნული და ლათინური ენები, მაგრამ ბერძნულ-რომაული საისტორიო წყაროების შესწავლისა და თარგმნა-ინტერპრეტაციისას მაინც საჭიროდ მიიჩნევდა, სიმონ ყაუხჩიშვილს შემოწმებინა დედანთან სიახლოვე და სიზუსტე.

მაგრამ ჩვენი ავტორი სხვაგვარად სჯის: „და აი, პირველად რაღაც ეჭვი ჩემში გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: პავლე ინგოროყვა მოდიოდა ფაქტიურად ბერძნულ-რომაულ ავტორთა საქართველოს შესახებ ცნობების მისეული ტექსტით, მისეული ინტერპრეტაციით... მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ ბატონ სიმონს ინგოროყვასეულ თარგმანში რაიმე შესწორება შეეტანოს ან მის შემოთავაზებულ გაგებას არ დასთანხმებოდეს. არადა იყო ორიოდე შემთხვევა, როცა ეს ტექსტები ჩემთვის ცნობილი იყო და მე მიმაჩნდა, რომ ტექსტი ინგოროყვას მიერ მთლად ზუსტად არ იყო თარგმნილ-გაგებული“.

ეჭვი კი გაუჩნდა, მაგრამ მასწავლებლის ავტორიტეტი ისეთი დიდია, რომ გამჟღავნება ჯერ ვერ გაუბედავს. მაგრამ მშველელად მოევლინება... მამიდა, ვინც პავლე ინგოროყვას „რუსთველიანაზე“ ეტყვის: თავიდან ბოლომდე ზღაპარიაო. ხოლო მის მიერ ხეთური დამწერლობის გაშიფვრა ყალბი გამოდგაო. მეტი დამაჯერებლობისათვის ივანე ჯავახიშვილსაც დაიმოწმებს: „...ყოველთვის ამბობდა-ო, პავლე ინგოროყვას მიერ წყაროების გამოყენება-დამოწმებას უთუოდ შემოწმება ჭირდება“. ხოლო „რუსთველიანამ“ ძალიან გაუტეხაო გული ბატონ ივანეს“.

ივანე ჯავახიშვილის მონუმენტური ფიგურა ის პლაცდარმია ჩვენი ავტორისათვის, რომელზე დაყრდნობითაც უნდა შემუსროს პავლე ინგოროყვას აფხაზური თეორია და საერთოდ „გიორგი მერჩულე“.

საქმეში ჩაუხედავ მკითხველს მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას სტილის უადგილო და უგემოვნო კალკირება მოსჭრიდა ყურს, მაგრამ სტილური „დაუდევრობა“ რა სათქმელია, როცა ასეთი უმსგავსობის მოწმე ვხდებით: ივანე ჯავახიშვილის სახელით ცდილობენ პავლე ინგოროყვას დამცირებას!

ჯავახიშვილის აზრებად გასაღებული, გამოგონილი ფრაზები იქნებ მართლაც მეკავშირედ გამოდგომოდა ამ ჩვენს ავტორს, სინამდვილის აღდგენას რომ ვერ ვახერხებდეთ.

ძნელი სათქმელია, რატომ არის ასე დარწმუნებული ნოდარ ლომოური, რომ ივანე ჯავახიშვილს თავისი აზრების „რუპორად“ გამოიყენებს, მაგრამ აშკარაა, ყველაფერი უკვე მოგვარებული ჰგონია, ისეთი აღმაფრენით აგრძელებს თხრობას და დემაგოგიით შეფერილ სიუჟეტურ ხაზს პავლე ინგოროყვას ჩაქოლვით აგვირგვინებს.

მაინც რა აზრისა იყო არა ლომოურის პერსონაჟი, არამედ ნამდვილი ივანე ჯავახიშვილი პავლე ინგოროყვაზე?

რა აზრისა და პავლე ინგოროყვას უაღრესად საინტერესო გზის გამკვლევი მონოგრაფია „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი“... საშუალებას გვაძლევს დაუთარიღებელ მერმინდელ ხელნაწერებში დაცულ ძეგლთა შორის ქართული მწერლობის უძველესი ხანის ნაწარმოებში გამოვყოთ. ცნობილია, რომ წინათ მე-10 საუკუნეზე უწინარესი ხანის ქართული ენის ნიშანდობლივი თვისებების გამოსარკვევად დასაყრდნობი ცოტა გვქონდა და მტკიცე საფუძველი გვაკლდა, ახლა ხანმეტი პალიმფსესტების წაკითხვა, და უძველესი ძეგლების შეუმცდარად გამოყოფის სრული შესაძლებლობა, ქართული სამწერლო ენის ისტორიული გრამატიკის შედგენასაც საგრძნობლად აადვილებს“.

თურმე როგორ ენდობოდა! სულაც გარდამტეხ მოვლენად მიაჩნდა მისი ქებანი ჩვენი მეცნიერული აზრის წინსვლისათვის!

გზის გამკვლევიო.

მტკიცე საფუძვლის შემქმნელიო.

შეუმცდარად დამთარიღებელიო.

არც „რუსთველიანას“ გაუტეხია გული ივანე ჯავახიშვილისათვის.

ვიდრე ეს მონოგრაფია გამოქვეყნდებოდა, პავლე ინგოროყვამ საჯარო მოხსენებების სახით თითქმის მთლიანად გააცნო მაშინდელ ელიტარულ საზოგადოებრიობას და ის აღტაცება და გამოძახილი, რაც ამ გამოსვლებს მოჰყოლია, ასე შემოგვინახა ნიკოლო მიწიშვილმა:

„...პავლე ინგოროყვამ წაიკითხა რაღაც სენსაციური მოხსენება შოთა რუსთაველზე. მოხსენებას ვერ დავესწარი, ვინაიდან გზას ვადექი, მაგრამ მას დიდი აღტაცება გამოუწვევია მსმენელებში და მგონი თვით ივანე ჯავახიშვილმაც კი სიამოვნებით აღნიშნა ამ ახალი გამოკვლევის ღირსებანი“.

„მგონიო“, აშკარად ჩანს, იმიტომ ამბობს, პირადად რომ არ მოუსმენია ბატონ ივანეს მსჯელობა, მაგრამ სამშობლოდან გადახვეწილის ყურსაც რომ მიწვდა, ეტყობა, ბაგიდან ბაგეზე გადადიოდა და პავლე ინგოროყვას პატივისმცემელთ უხაროდათ, მათ აღტაცებას ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტიც რომ ადასტურებდა.

„სენსაციურიო“, დიდ გამოძახილს გულისხმობს. სხვაგვარად ისეთი სკეპტიკოსი, სამშობლოზე გულაღრენილი კაცი, როგორიც ნიკოლო მიწიშვილი გახლდათ, ხსენებითაც არ მოიხსენიებდა თავის მხატვრულ-დოკუმენტურ ჩანაწერებში. „ვეფხისტყაოსანს“ არც კი მიიჩნევდა ქართულ ეროვნულ ეპოსად და მისი კვლევისას განცდილი მარცხი უფრო გაახარებდა, ვიდრე წარმატება ამა თუ იმ მეცნიერისა. თავისი სკეპსისის კიდევ ერთ გამამართლებელ საბუთად გამოიყენებდა. ახლა კი რაღაც ძვრა მომხდარა მის არსებაში და ერთადერთ ნუგეშად პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ძიებანი და ივანე ჯავახიშვილის შეფასება ეგულება.

ივანე ჯავახიშვილისთვისაც ნუგეში იყო პავლე ინგოროყვას არსებობა, მით უფრო იმ გაუსაძლის ყოფაში, და ნომენკლატურულ, წითელ მეცნიერთაგან შერისხული უნივერსიტეტიდან გამოძევებული და სასოწარკვეთილი, გულის მოსაოხებლად და სულიერი სიმტკიცის შესანარჩუნებლად სწორედ მას მიადგა – პავლე ინგოროყვას.

ჩვენი ავტორის პერსონაჟი ივანე ჯავახიშვილი კი, ცხადია, არც ამ ნაბიჯის გადამდგმელია.

აქ ნულა გავამახვილებთ ყურადღებას, თუ ვისეულ „გამოყენება-დამოწმებას“ სჭირდება მართლა „შემოწმება“ და სიუჟეტურ ხაზს მივყვეთ.

მარჯვე „პლაცდარმზე“ შემდ-

გაგრძელება მე-6 გვ.

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# კონსტანტინე გამსახურდია
# ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ გრიგალაშვილი



### პირველი დაპატიმრება

„ცხრამუხელებს“ თანამზრახველები თბილისშიც ჰყავდათ ქრისტეფორე რაჭველიშვილისა (შემდგომში ილიას ცნობილი ბიოგრაფი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე) და ვინმე კარბელაშვილის სახით. საფიხიას ეკლესიაში ღვთისთვის შეუფიცავთ ახალგაზრდებს, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებდნენ საქართველოს გასათავისუფლებლად. რომანოვების დინასტიის 300 წლის იუბილეზე, რომელსაც რატომღაც სიხარულით ზეიმობდა ჩვენი ბედოვლათი თავადაზნაურობა, „ცხრამუხელები“ გიმნაზიის სააქტო დარბაზში შეჭრილან და რუსის მეფეთა და გენერლების მოოქროვილ ჩარჩოში მოთავსებული სურათები ძირს ჩამოუყრიათ, დაუფხრეწიათ, ფეხქვეშ გაუთელიათ. „მეორე დღეს ქუთაისის ჟანდარმერია და პოლიცია ფეხზე დადგა, – ვკითხულობთ „ლანდებთან ლაციცში“. ბევრი იძიეს, მაგრამ ერთ თვეს ვერ გახდნენ.

ამასობაში მოხდა ასეთი ამბავი: ქუთათური კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელმა, შავრაზმელმა კუსტინოვიჩმა „ძაღლის ენა“ უწოდა ქართულს.

რევოლვერებითა და ხელკეტებით შევიარაღდით, სადგურზე დავუხვდით ცოლშვილიანად საგარაკოდ მიმავალ კუსტინოვიჩს და ვცემეთ“.

შემდგომ ამისა, ახალგაზრდებს პროკლამაციები დაუსტამბავთ და გაუვრცელებიათ, რომლითაც ხალხს მოუწოდებდნენ არ ეზეიმათ დამპყრობელი რომანოვების დინასტიის იუბილე და კუდით ქვა ესროლინებინათ კუსტინოვიჩისმაგვარ რუსი შოვინისტებისათვის. ამჯერად ჟანდარმერიამ ახალგაზრდებში შეგზავნილი აგენტის წყალობით „ცხრამუხელები“ აღმოაჩინა და დააპატიმრა. მოვუსმინოთ მწერალს: „ჩემთვის ეს პირველი პატიმრობა იყო უბედნიერესი მომენტი ჩემი ცხოვრებისა.

ბედნიერი გრძნობისაგან შეპყრობილი ვიმეორებდი ამ ბრწყინვალე სიტყვებს: „ნეტარ იყვნეთ თქვენ რამეთუ გდევნონ ჩემი სახელით“.

ყმაწვილი კაცის ამ სიხარულს ჰქონდა თავისი საფუძველი, საპატიმროში ის ქურდბაცაცობის კი არა, მამულის სიყვარულისთვის ჩასვეს და მთელი ქუთათური საზოგადოების თანაგრძნობაც ამ ახალგაზრდებისკენ იყო. დაფაცურდა გიმნაზიის დირექტორი, მეფისნაცვალს ეხლა და ახალგაზრდა მოჯანყენი ციხიდან გამოუშვეს. გავა რამდენიმე წელიწადი და რუსეთის იმპერატორის სურათების ჩამოგლეჯისა და დაფხრეწისთვის კი არა, „მოუზომავი“ სიტყვის გამო ადამიანს შეუძლიათ ცხრა მთას იქით უკრან თავი, ხოლო მის გამოხსნას გიმნაზიის ერთი დირექტორი კი არა, ათასი ნაფიცი ვექილიც ველარ შეძლებს. გავა რამდენიმე წელიწადი და მამულის სიყვარულისთვის საბჭოთა ჯურღმულებში დამწყვდეულ პატიმარს აღარც გმირობის განცდას შეარჩენენ. საზოგადოება უკვე ველარ გაბედავს თანაგრძნობას, პირიქით, საზოგადოების წევრებს მხოლოდ ჯალათთა ქმედებისათვის დასტურის უფლება ექნებათ.

ასე დასრულდა ქუთაისის გიმნაზიაში კონსტანტინე გამსახურდიას მოწაფეობის წლები.

დამავიწყდა მეთქვა: მამა მწერალს ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში გარდაიცვალა, კონსტანტინე მატერიალურ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი და რომ არა იმხანად არსებული მეცენატობის ინსტიტუტი, არ არის გამორიცხული, ეს ბრწყინვალე ნიჭის ახალგაზრდა უმაღლესი განათლების გარეშე დარჩენილიყო.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №98,99.

კრიტიკოს კიტა აბაშიძის წყალობით, რომელიც გამსახურდიას ნიჭს დიდად აფასებდა და გიმნაზიის დირექტორის წარდგინებით, კონსტანტინეს ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია დაენიშნა და გზა გაეხსნა პეტერბურგის უნივერსიტეტისაკენ.

### პეტერბურგის უნივერსიტეტი

1911 წელს გამსახურდია ამთავრებს ქუთაისის გიმნაზიას და ჩადის იმპერიის დედაქალაქში. იქ იგი აკაკი შანიძესთან დაბინავებულა. სხვათა შორის, სტუდენტობის წლებში დაახლოებული ამ ორი გამორჩეული ქართველის დიდი მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

უნივერსიტეტში გამსახურდიას განზრახული ჰქონია საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს, ნიკო მარს დამოწაფებოდა, მაგრამ ლექციაზე ნიკო მარისაგან მისი სათაყვანებელი ილია ჭავჭავაძის აუგად ხსენება ვერ აიტანა და უნივერსიტეტიდან გამოსვლაც განიზრახა, ესეც იყო, კონსტანტინეს გული იმთავითვე დასავლეთ ევროპისკენ მიუწევდა, ჩრდილოეთის ჰავასა და მისთვის სულიერი დისკომფორტის შემქმნელ იმპერიას სურდა გაქცეოდა.

ზოგჯერ მოვლენების დასაჩქარებლად და გადაწყვეტილების მისაღებად უნებლიე შემთხვევა უფრო დიდ როლს თამაშობს, ვიდრე ხანგრძლივი ჭყლეტა ტვინისა.

მწერალი ერთ ასეთ ფათერაკიან ღამეს იხსენებს პეტერბურგისა: „ნამუსრევი მივდივარ ნევის პროსპექტზე და „მრავალჟამიერს“ მივიმღერი.

გოროდოვოი წინ გადამიდგა.

რას ღრიალებო, მომაძახა და დედა შემაგინა. მე იმ წუთშივე სილა ვუთავაზე. პირიდან სისხლი წასკდა და წაიქცა ის ოჯახქორი.

შემეცოდა. ავაყენე.

წამოდგა თუ არა, ხმალი იშიშვლა და ყუით შემომკრა ნიკაპზე.

ახლა მე წავიქეცი გასისხლიანებული.

ამიყვანა, ეტლი გააჩერა და საპატიმროში დამტოვა.

აქ გამჩხრიკეს. პასპორტი და ფული ჩამომართვეს, გამაშიშვლეს და ქურდების კამერაში შემაგდეს.

ეს ტატუირებული ჯიბგირები და კაცისმკვლელები რა დავინახე, კარების მტვრევა დავიწყე.

უბნის უფროსი მოვიდა, ფული, პასპორტი და ტანისამოსი დამიბრუნა და გამომიშვა.

აკაკის მთელი ღამე არ სძინებია. ჩემს დანახვაზე გაიხარა. ხელ-პირი დამაბანინა, შრამზე იოდი წაუსვა, ვახშამი შემომთავაზა.

მეორე დღეს აკაკიმ მომიტანა ევროპის რუკა. თვალები დამიხუჭა და მითხრა: საეგებიოდ დაადევიო რომელიმე ქალაქს თითი.

თითი მოხვდა კენიგსბერგს.

იმ დღესვე ვამცნე ქუთაისის ქალაქის თავს: ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია აღარ მოეცათ ამიერიდან ჩემთვის (ილიას სტიპენდია ეძლეოდა მხოლოდ იმ სტუდენტებს, რომელნიც ილიას მიერ დამთავრებულ უნივერსიტეტში სწავლობდნენ. ნ.გ.).

კიტა აბაშიძე დაფაცურდა. ახლა შავიქვის საბჭოს სტიპენდია დამინიშნეს“.

### კენიგსბერგის უნივერსიტეტი

გამსახურდია ჩადის კენიგსბერგში (მეფის მთა), როგორც ამ ციხე-ქალაქს ეწოდა 1255 წელს. მე-13 საუკუნეში პრუსიელთაგან დაპყრობილ ამ ქალაქს დღეს მსოფლიო იცნობს არა თავისი მშფოთვარე ისტორიით, რაც მხოლოდ ისტორიკოსების ცოდნის ობიექტად დარჩა, არამედ იმით, რომ კენიგსბერგში დაიბადა და თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ამ ქალაქს არ გასცილებია ფილოსოფიის ისეთი ტიტანი, როგორიც იყო იმანუელ კანტი.

კენიგსბერგი გერმანული ფილოსოფიის ერთი ყველაზე მძლავრი კერა გახლდათ.

ფილოსოფიით გატაცებული ახალგაზრდა გამსახურდიასთვის ამ ქალაქის არჩევანი, ცხადია, არ იყო შემთხვევითი. კონსტანტინემ აქ ერთი სემესტრი დაჰყო, ვინაიდან ქალაქის პოლიცია უცხოელ და განსაკუთრებით რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომ სტუდენტებს ეჭვის თვალით უყურებდა. იგი გააფრთხილეს, ერთი სემესტრის შემდეგ დაეტოვებინა ქალაქი. ეს ერთი სემესტრი კანტისა და განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსებს სწავლობდა მწერალი, მაგრამ ცხოვრება რისი გამოცანაა, თუ ფათერაკი მაშინაც არ შეგამთხვია, როცა კანტის „წმიდა გონების კრიტიკაზე“, ლეიბნიცზე ან ვოლფზე ფიქრობ.

ერთი არცთუ სასიამოვნო ფათერაკი ჩვენს ახალგაზრდა სიბრძნისმაძიებელსაც გადახდა.

### დუელი

მართალია ახალგაზრდა და, სხვათა შორის, არც ხანდაზმული კონსტანტინე ნიცშეს, გოგოლისა ან თუნდაც კანტიეით სუსტი სქესის წარმომადგენლებს ზურგს არ უჩვენებდა და არ გაურბოდა, მაგრამ იმ დღეს ქალის გამო ამტყდარ აყალმაყალში იგი უბრალო გახლდათ. ერთ საღამოს კაფე „იმპერატორში“ შევიდა ლუდის დასალევად ორ მეგობართან ერთად. იქვე არისტოკრატთა წრის სტუდენტები ლოთობდნენ, რომელთათვის ერთგვარ მოდად იყო ქცეული მუდმივი დებოშები, დუელები და სახეზე ნაიარევით კოკეტობა... თანამეინახეთ შუაში ვიღაც ლამაზმანი უჯდათ, რომელმაც შორით აშიკი და მანჭვა გაუმართა უცხო ქალაქში მოხვედრილ აბაშელ ბიჭს, ბოლოს ისე გათავხედნენ; ორი სტუდენტი მოუგზავნეს – რაკი ჩვენს მანდილოსანს ეაშიკები, დუელში გიწვევთო. კანტის თავდაჭერილობა აქ კი დაავიწყდა აბაშელ ყმაწვილს, იფეთქა მასში სვიმონ გამსახურდიას სისხლმა და მოძალადეთ პისტოლეტით დუელი შესთავაზა, მათ – რაპირებით ვიბრძოლოთო – აიჩემეს და ასეც გადაწყდა.

მეორე დღეს, დათქმულ ადგილზე, ზუსტად პირველ საათზე, გერმანული სიზუსტით გამოცხადდნენ დუელიანტები კონსტანტინე გამსახურდია სეკუნდანტებითურთ და კურტ ფონ იქსიკიულ, ცხადია, სეკუნდანტებისავე თანხლებით. დუელი შედგა რაპირებით და ახალგაზრდები თითო ჭრილობის მიყენების შემდეგ დაზავდნენ.

არ ვიცი ვინ იყო და რა კაცი დადგა ეს კურტ ფონ იქსიკიულ, მაგრამ ის კი ბედის მწარე ირონია იქნებოდა, ასე უბრალოდ. ერთი გაურკვეველი ვინაობის კახპას გამო დუელს შეწირვოდა 20 წლის კონსტანტინე გამსახურდია და ქართულ ენაზე აღარ შექმნილიყო „დიდოსტატის მარჯვენა“, „დიონისოს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“ თუ „დავით აღმაშენებელი“.

გაგრძელება იქნება

# ეროვნული მოღვაწე და კოსმოპოლიტი მიმომხილველი

## როსტომ ჩხეიძე

მეოთხე გვერდიდან

გარი ჩვენი ავტორი ძალიან დაუფიქრებია „სხვა ისტორიკოსთა თავშეკავებულ აზრსაც“ პავლე ინგოროყვას ისტორიულ გამოკვლევებზე. ეს ის დროა, როცა ჟურნალ „მნათობში“ დაწყებულა ბეჭდვა პავლე ინგოროყვას მონოგრაფიისა „გიორგი მერჩულე“, სადაც აფხაზთა მხარე გამოცხადებულია ისტორიულ ქართულ ტერიტორიად. მისი მიერ მოხმობილი და გაანალიზებული საისტორიო წყაროების მიხედვით, იქ ოდესღაც მოსახლე აბაზგები და აფსილები დღევანდელ აფხაზთა წინაპრები, აფხაზურ-ადიღეური ტომები კი არ იყვნენ, არამედ ქართული ტომები, დღევანდელ აფხაზთა წინაპრები კი მხოლოდ XVI-XVII საუკუნეებში ჩამოსახლებულან კავკასიონის ქედის გადაღმიდან.

ამ ჩვენს ავტორს სწორედ იმხანად დაუმთავრებია საკანდიდატო დისერტაცია და ხელნაწერი გასაცნობად რომ გადაუცია სიმონ ყაუხჩიშვილისათვის, მას ურჩევია, ეს ადგილი პავლე ინგოროყვას გამოკვლევის მიხედვით გაასწორეო. „გადმოვიღე ანტიკურ ავტორთა დედნები, მთელი ღამე ვუდარებდი ტექსტებს და დავრწმუნდი, რომ ამ ტექსტების ქართული თარგმანიც და გაგებაც ჩემთან სწორი იყო. პ.ინგოროყვასთან კი, უმეტეს შემთხვევაში, მცდარი. დიახ, უმეტეს შემთხვევაში სტრაბონთან, პლინიუსთან თუ სხვა ავტორებთან უბრალოდ ის არ ეწერა, რასაც ამტკიცებდა პ.ინგოროყვა. უფრო მეტიც, ხშირად იქ სწორედ პირდაპირ საწინააღმდეგო ეწერა. მაშასადამე, არაფრით დასტურდებოდა პ.ინგოროყვას ახალი მტკიცება...“

დილით ბატონ სიმონს რომ მიადგა თავისი მტკიცებებით, მას არც მოუსურვებია შემოწმება და უხეშად უთქვამს მოწაფისათვის: „მე არაფრის მოსმენა არ მსურს, რადგან პავლეს უწერია, ე.ი. სწორია, გააკეთე ისე, როგორც პავლესთანაა! ასეა საჭირო და ასე უნდა იყოს!“ – მაგრამ არც მოწაფე შეპუებია, მე ყველაფერი სწორად მაქვს, ინგოროყვასთან კი უმეტესი მტკიცებები ყალბია, არაფერს არ გავასწორებ, თუ ასეა, სულ არ დავიცავ დისერტაციასო... მასწავლებელი მოუწონებს პრინციპულობას, მაგრამ ამას მაინც ეტყვის: „...ჩვენთვის ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით პავლეს პოზიცია მომგებიანია. რა ვუყოთ, რომ შეიძლება ფორმალურად ის არ იყოს დასაბუთებული. მე პავლეს ყოველთვის ვუჭერ მხარს, რადგან მისი პოზიცია ყოველთვის ეროვნულია. ასეა ამ შემთხვევაში... ეროვნული ინტერესები თუ გვკარნახობს, შეიძლება მათ მეცნიერული ჭეშმარიტებაც შევწიროთ. ეს ასეთი კომპრომისის ერთადერთი გამართლებაა...“

ცოტა არ იყოს, უცნაური ჩანს სიმონ ყაუხჩიშვილის ასეთი დაჟინებული უგულებელყოფაც მეცნიერული ჭეშმარიტებისა და მოწაფის მცდარ გზაზე დაყენების ენერგიული მცდელობაც. მაგრამ ჯერ ბოლომდე მივყვეთ მოვლენებს.

მას მერე ამ ჩვენს ავტორს „უფრო ღრმად და ყოველმხრივ დაუმუშავებია ეს საკითხი“ და დარწმუნებულა ბერძნულ-რომაული წყაროების „გაყალბებაში“. მონოგრაფიის სხვა მონაკვეთებსაც გასცნობია და აქაც „ბევრი შეცდომა“ და „აშკარა უზუსტობა“ აღმოუჩენია.

„არადა, საცაა უნდა გამოსულიყო ის ნაშრომი ცალკე წიგნად და ჩვენ (მე და ზოგი ისტორიკოსი, მაგ., შოთა მესხია, ვასილ კოპალიანი, ვალერიან გაბაშვილი და სხვ.) ვშიშობდით, რომ აფხაზეთში ინგოროყვას ეს შრომა დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა, თანაც არა მარტო სეპარატისტულად განწყობილ, არამედ პროქართული ორიენტაციის აფხაზ მოღვაწეებში. ამასთან, მათ ექნებოდათ საკმარისად მყარი საფუძველი ბრალი დაედოთ კერძოდ, პ.ინგოროყვასთვის და საერთოდ, ქართველ ისტორიკოსთათვისაც წყაროების გაყალბებაში და ტენდენციურ ინტერპრეტაციაში“.

ამ შიშს ნიკო ბერძენიშვილიც იზიარებდაო – გვარწმუნებს ჩვენი ავტორი და მის ნათქვამს იხსენებს: სხვა ვერაფერი მოვუხერხე პავლეს, რომ ვარლამ დონდუა დავუნიშნე რედაქტორად იმ იმედით, რომ შეაცვლევინებდა ზოგიერთ, ყველაზე აშკარად მცდარ დებულებას, მაგრამ მგონი ვარლამი ვერ მოერია პავლესო.

ბოლოს გადაუწყვეტიათ, სანამ გვიან იქნებოდა, ისევ ჩვენს ავტორს ეცადა ბედი სიმონ ყაუხჩიშვილთან და როგორმე დაეყოლიებინა. მაგრამ ის თავისაზე მტკიცედ მდგარა და მომხრე იყო „გიორგი მერჩულეს“ წიგნად გამოცემისა.

მიუხედავად მონდომებული მცდელობისა, ეს ჩვენი ავტორიც რომ თავგამოდებით მონაწილეობდა, წიგნი მაინც გამოიცა.

მაგრამ რად გინდა!

„აფხაზი მეცნიერების მხრიდან მოსალოდნელი რეაქცია მოხდა და ჩვენ არ დაგვრჩა რაიმე სათქმელი. ქართველმა ისტორიკოსებმა პავლე ინგოროყვას დაცვა იმიტომ კი არ ისურვეს, რომ რაღაც ძალების ზეწოლას განიცდიდნენ, არამედ იმიტომ, რომ მისი დაცვა შეუძლებელი იყო მეცნიერული ობიექტურობის პოზიციებიდან“.

დაბოლოს, ამ სიუჟეტური ხაზისათვის შესაფერისი დაგვირგვინება:

„საერთოდ „გიორგი მერჩულემ“ საკმაოდ უარყოფითი როლი შეასრულა აფხაზეთში ანტიქართული განწყობილებების გაძლიერების საქმეში“.

ეს ყოველივე ისეთი ჰეროიკული განცდით და პათოსით არის მოთხრობილი, სტილური ექსპრესიაც რომ ჰქონოდა, ძველი ეპოსის ფრაგმენტი გვეგონებოდა.

მართალია, ეს მორალური დანაშაული – აფხაზეთში ანტიქართული განწყობილებების გაძლიერება – პავლე ინგოროყვას აწევს კისრად, მაგრამ თურმე ნაკლები ცოდვა არც სიმონ ყაუხჩიშვილს მიუძღვის, ვისი სანქციითაც გაყალბებულა ბერძნულ-რომაული წყაროები. მას რომ მეცნიერული ჭეშმარიტებისათვის არ ეღალატა, იქნებ აფხაზური თეორია ამ სახით არც ჩამოყალიბებულიყო, ყოველ შემთხვევაში, ბატონ სიმონს არიდებოდა მორალური პასუხისმგებლობა.

მეცნიერულ ჭეშმარიტებას უგულებელყოფს იმიტომ, ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის ასე გვეჯობსო. არადა, სწორედ პირიქით ახდა: ეროვნული ინტერესებისათვის გამოდგა საზიანო!

ასე რომ, ამ ორმა მეგობარმა შესცოდა მეცნიერებასაც და სამშობლოსაც.

კიდევ კარგი, ეს უმძიმესი სურათი ნოდარ ლომოურის მტკიცებების მიხედვით იხატება და არა მოვლენათა პირუთვნელი, ღრმა გააზრებით, თორემ არც პავლე ინგოროყვას და არც სიმონ ყაუხჩიშვილს შთამომავლობის მუნათი არ ასცდებოდათ.

აფხაზეთის მხარეში ანტიქართული განწყობილებების გაძლიერებას რაც მოჰყვა, მწარედ ვიწვნიეთ, და ვისაც აქ ბრალი მიუძღვის, ნებით თუ უნებლიეთ, მკაცრ მსჯავრს ვერ ასცდება. ხოლო ვინც ამ მწარე შედეგის არიდებისთვის იღვწოდა, ვერც მის სიმართლეს მოამწყვდევენ სიცრუის ხუფში.

საბჭოური ეპოქა დასრულდა და მისი იდეოლოგიური უკუღმართობანიც თანდათან სულ გაქარწყლდება. მართალია, ჯერაც გვიხდება ამ იდეოლოგიის ნაშთების გაკაფვა, მაგრამ ესეც ის აუცილებლობაა, რასაც ვერ წავუვიდოდით.

ცენზურის მოშლის პირობებში ეს სათქმელადაც არა ღირს.

ჩვენი ავტორის მსჯელობის მიხედვით მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს პავლე ინგოროყვა და მის ჰიპნოზქვეშ მოქცეული სიმონ ყაუხჩიშვილი განკერძოებით დგანან აფხაზეთის მხარის ისტორიული წარსულის გააზრებისას და „გიორგი მერჩულეში“ ჩამოყალიბებულ აფხაზურ თეორიას არც წინამორბედი ჰყოლია და არც გამზიარებელი – არც წიგნის გამოქვეყნებისას და არც შემდგომ.

უთუოდ დაგაინტერესებთ, რა როგორ არის სინამდვილეში.

აფხაზთა ეთნოგენეზისის თეორიის წანამძღვრები უკვე არსებობდა ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას შრომებში.

ნიკო მარს მიაჩნდა, რომ: ხალხი, რომელიც სვანური ტომებისაგან შედგებოდა, თავდაპირველად ეწოდებოდა არა „სვან“, არამედ მისი ეთნიკური სახელწოდება იყო აბასხი.

ივანე ჯავახიშვილის ანალიზი ამ დასკვნით ბოლოვდებოდა: „როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფსილ-აფხაზებს და სვანებს“.

სიმონ ჯანაშიას თვალსაზრისითაც: „საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილში, წინ უსწრებდა სვანურ-ზანური მოსახლეობა“.

პავლე ინგოროყვას სამეცნიერო ძიებებში ეს დებულებაა გაშლილი და დამტკიცებული დიდძალი მასალის მოშველიებით და მწყობრი სისტემის სახეს იძენს, ეგ არის და ეგ, თორემ თუ მაინცდამაინც დავიჟინებთ ამ კონცეფციის არამეცნიერულობას და საკმაოდ უარყოფით როლსაც მივაწერთ „აფხაზეთში ანტიქართული განწყობილებების გაძლიერების საქმეში“, მაშინ ამ მკვლევართაც უნდა გაინაწილონ მორალური პასუხისმგებლობა.

ეს პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილონ გიორგი ახვლედიანმა, დავით კობიძემ და... ნიკო ბერძენიშვილმაც. არა ჩვენი ავტორის პერსონაჟმა, არამედ რეალურად არსებულმა, ვინც შეეცადა გადაერჩინა „გიორგი მერჩულე“ და მისი შემქმნელი დევნისა და ჩაქოლვისაგან.

რადგანაც იდეოლოგიური მოსაზრებით საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა „გიორგი მერჩულეს“ აკრძალვა, ნიკო ბერძენიშვილმა მათ წარუდგინა „მოხსენებითი ბარათი“, საიდანაც ორიოდ ფრაგმენტს გაგაცნობთ:

„პ.ინგოროყვას შრომა „გიორგი მერჩულე – ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“ – ღირსშესანიშნავი მეცნიერული ნაწარმოებია. მასში დასმულია საქართველოს ისტორიის არა ერთი ძირითადი საკითხი, რომელთაგან ზოგიერთი მართებულად არის გადაჭრილი“.

ან: „პ.ინგოროყვას უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან თავი მოუყარა ყველა ზემოთაღნიშნულ ავტორთა ცნობებს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ქართველ ტომთა შესახებ და შეეცადა დაედგინა მათი აქ განსახლების ადგილი. პ.ინგოროყვას ის დებულება, რომ ქართველი ტომები უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, საფუძვლიანად სწორია...“

ანდა: „...პ.ინგოროყვას დამსახურება ამ საკითხის მეცნიერულ შესწავლაში უდავოდ საპატიოა. საკითხის დასმითა და ზოგი დებულებების სწორად გადაწყვეტით ავტორმა საგრძნობლად წინ წასწია საქართველოს ისტორიის ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლის საქმე“.

ნიკო ბერძენიშვილს განსხვავებული მოსაზრებანი ჰქონდა ამა თუ იმ კერძო საკითხზე, საერთოდაც, ეჭვშეუვალი ნაშრომი არასოდეს არავის შეუქმნია და რაღა პავლე ინგოროყვა შექმნიდა, მაგრამ მთავარი ისაა, თვით პარტიის მრისხანებასაც რომ არ ეპუება და „გიორგი მერჩულეს“ ასეთი ეპითეტებით იხსენიებს. სხვა შემთხვევაში იოლად დათანხმდებოდა მის აკრძალვას და თავსაც კი გამოიდებდა, გამოცემის წინააღმდეგი ვიყავიო.

სხვათა შორის, უფრო თავგამეტებული გამოსარჩლება პავლე ინგოროყვასი გიორგი ლეონიძეს თავის მიერვე დაარსებული ქართული ლიტერატურის მუზეუმიდან გამოძევებად დაუჯდა.

იმხანად კიდევ ერთი ისტორიკოსი შეეცადა ამ წიგნის დაცვას: კოტე გრიგოლია. მისი რეცენზია ჟურნალ „მნათობის“ 1957 წლის მესამე ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ უეცრად შეკრული ჟურნალი დაშალეს და ეს მასალა ნომრიდან ამოიღეს.

მერე საერთოდ აეკრძალებათ ქართველ მეცნიერებს აფხაზეთის მხარის ისტორიაზე მიუკერძოებლად წერა. პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს“ არამცთუ განმეორებით აღარ გამოსცემენ, სულ ამოიღებენ სამეცნიერო მიმოქცევიდან, ის კი არა, ენციკლოპედიაში სტატია „აფხაზეთთან“ დაკავშირებითაც არ ახსენებენ... ნიკო ბერძენიშვილის „საქართველოს ისტორიის საკითხების“ მესამე ტომიც – აფხაზეთის თემისადმი მიძღვნილი – ისეთი დაჩეხილ-დამახინჯებული სახით გამოიცემა, არ დაესტამბათ, სჯობდა.

ეს მორალური პასუხისმგებლობა მეც უნდა გავინაწილო, რადგან მე დავაბრუნე სამეცნიერო მიმოქცევაში პავლე ინგოროყვას ეს შერისხული კონცეფცია და მიზანდასახულად ვცდილობ მისი სამოქალაქო უფლებების დამკვიდრებას.

პასუხისმგებლობა სხვათაც უნდა გაინაწილონ, განსაკუთრებით, ალექსანდრე ონიანმა და თეიმურაზ მიბჩუანმა, ენათმეცნიერული კუთხით რომ ამტკიცებენ აფხაზური თეორიის სამართლიანობას.

ცხადია, ყველა ეს მკვლევარი – მითუმეტეს, წინამორბედნი – პავლე ინგოროყვას ჰიპნოზის გავლენით არ მიიჩნევდნენ აფხაზეთის მხარეს ძირეულ ქართულ ტერიტორიად, მაგრამ თუნდ ერთი წამით დავუჯეროთ, რომ ეს კონცეფცია მცდარიცაა და არც არავინ იზიარებს. მაშინაც კი, რატომ ან როგორ გააძლიერებდა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ანტიქართულ განწყობილებებს? თუკი უმართებულოდ განსჯიდა და აშუქებდა ისტორიულ მოვლენებს, აფხაზი მეცნიერები უბრალოდ უარყოფდნენ სათანადო საბუთების მოშველიებით და ეს კონცეფცია თავისთავად ამოვარდებოდა სამეცნიერო მიმოქცევიდან, რა საჭირო იყო იდეოლოგიური ჩარევა, კომუნისტური პარტიის დიქტატით მოქმედება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგეხსენებათ, „დიქტატის“ გამოყენებას მაშინ ცდილობენ, როცა სათქმელი, პირუთვნელი და დამაჯერებელი პასუხი არ გააჩნიათ.

აფხაზ მეცნიერებს არ დაუბეჭდავთ არცერთი საპასუხო სტატია, „გიორგი მერჩულეს“ აკრძალვას კი მიაღწიეს.

ხომ მიაღწიეს!

პავლე ინგოროყვას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევაც ხომ ჩაუშალეს!

მეტი რაღა უნდოდათ, მაინცდამაინც კოცონზე უნდა დაეწვათ წიგნიც და მისი შემოქმედიც?

საინტერესოა, აკრძალულმა, ჩაქოლილმა წიგნმა როგორღა გააძლიერა აფხაზთა ანტიქართული განწყობილებანი?

საცა სამართალია, მხურვალე მადლობელნი უნდა ყოფილიყვნენ, მათი მოთხოვნისთანავე ასე რომ დაისაჯა პავლე ინგოროყვა. ანტიქართული განწყობილებანიც სულ უნდა ჩამცხრალიყო.

გარეშე კაცისთვისაც კი აშკარა ხდება, რომ ნოდარ ლომოურის ნაამბობი ისე ძალისძალათია ნაკოწიწები, ხელის შეხებისთანავე ცნაურდება მისი სიყალბე. ამ სიტყვას თვითონ დაჟინებით იმეორებს პავლე ინგოროყვას მიმართ, მაგრამ მიუკერძოებელი განსჯა სხვაგვარად წარმოგვიჩენს ნამდვილ მიზეზებს.

საბჭოურ-პარტიული დიქტატის დასაყრდენი ის იყო, რომ სადაც მიწვდებოდა, დაეთრგუნა და მოეშთო სიმართლე, გადაესხვაფერებინა, გაეუკუღმართებინა, ხელი რომ არ შეშლოდა იმპერიულ პოლიტიკას; და ამ შემთხვევაშიც, „გიორგი მერჩულე“ საბჭოური იდეოლოგიისთვის მიუღებელი კონცეფციის წარმომჩენად გამოიკვეთა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას ხომ ერთადერთი მიზანი ჰქონდა: საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ალმავლობისას, საბჭოური უღლიდან საქართველოს გამოხსნის მცდელობისას იმპერიას აემოქმედებინა ეს მართლაც ნაღმი და ლახვარი ჩაეცა ჩვენი ქვეყნისათვის. საამისოდ აუცილებელი იყო ამ მხარის ისტორიული წარსულის გაყალბება, მოსახლეობის დაბნევაც და მსოფლიოსათვის თვალის ახვევაც, რათა რუსეთ-საქართველოს შესაძლო ომი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტად გასაღებულიყო.

ამიტომაც ვერ მოითმენდნენ პავლე ინგოროყვას მწყობრ, დასაბუთებულ, დინამიურ თეორიას. და საიდუმლო სამსახურები, პარტია და ნომენკლატურული მეცნიერები ერთად უნდა ცდილიყვნენ არა მარტო მის დასამარებას, არამედ სახელის გატეხასაც. იმასაც არ მოერიდებოდნენ, რომ პავლე ინგოროყვასთვის სწორედ ის დაებრალებინათ, რის წინააღმდეგაც იბრძოდა მთელი სიცოცხლე.

აფხაზეთის მხარის ბედი, მისი გარდუვალი წართმევა ჩვენი ქვეყნისათვის იქ გადაწყდა, როცა „გიორგი მერჩულე“ აიკრძალა და პავლე ინგოროყვა ანტიქართულ განწყობილებათა გამომწვევად გამოცხადდა.

როცა სიმართლე ითრგუნება, ასპარეზს იოლად ეპატრონებიან დემაგოგები და ნომენკლატურული ფიგურები, „ციტატების მეცნიერები“, რომელთაც ისედაც უძნელდებათ გარკვევა ნამდვილ სულიერ ღირებულებებში.

გასაკვირი ის არის, კიდევ რომ სჯერათ გაკოტრებული იდეოლოგიისა, სიმართლის უეჭველი დასამარებისაც სჯერათ.

ასე რომ არ იყოს, დღესდღეობით მაინც მოერიდებოდნენ იმ ოდიოზურ ბრალდებათა განმეორებას.

თუმც, კაცმა რომ თქვას, „მრავალი ნაკლის მქონე პატარა ნაცოდვილარისაგან“ სხვას რას მოველოდით.

# თავდასხმა მიუნხენში

## სცენაზეა მკვლელი!

დაპატიმრებულია და სასამართლოს წინაშე წარსდგება ბოგდან სტაშინსკი, სუკის კაპიტანი, ვინც აღიარა სტეპან ბანდერას მკვლელობა! ეს ცნობა უმალ მოედო მთელს მსოფლიოს! მთელი დასავლური პრესა სავსე იყო ამ ინფორმაციით. ეს გასაგებიცაა, ისტორიაში პირველად სასამართლოს წინაშე წარსდგა ჩეკისტი მკვლელი და ყველას ერთი სული ჰქონდა, საკუთარი თვალით ენახა ეს ეგზემპლიარი.

ამიტომაც, 1962 წლის 8 ოქტომბერს, როდესაც დაიწყო სასამართლო პროცესი, შენობასთან უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. ყველას სურდა საკუთარი თვალით ენახა ჩეკისტი-ბოევიკი, კაცი, რომელმაც ჩაიდინა გახმაურებული და საიდუმლოებით მოცული მკვლელობა

უკრაინელი პუბლიცისტი ვლადიმერ სტახივი ასე აღწერს ამ სურათს: „სასამართლოს გარშემო მთელი ტერიტორია მუნდირიანი პოლიციელების კონტროლს ქვეშაა. ისინი ყურადღებით სინჯავენ საშვებს, რადგანაც სასამართლოზე მოხვედრის მსურველი გაცილებით მეტია იქ არსებულ ადგილთან შედარებით. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები პირდაპირ იბრძოდნენ თითოეული საშვის მოსაპოვებლად“.

დასავლეთის საზოგადოებას ძალიან აინტერესებდა ბოგდან სტაშინსკის პიროვნება. რატომ გახდა ეს კაცი ჩეკისტი? რამ აიძულა გამხდარიყო ასეთი გულგრილი მკვლელი?

სტაშინსკიც დაუფარავად მოჰყვა თავისი ცხოვრების შესახებ:

– „დავიბადე 1920 წელს სოფელ ბორშჩოვიჩში, ღარიბი, მაგრამ ეროვნულად შეგნებული უკრაინელი გლეხის ოჯახში. მშობლები თანაუგრძნობდნენ, ხოლო ჩემი და ირინა კი აქტიურად მონაწილეობდა ბანდერელთა იატაკქვეშა მოძრაობაში. მე იმ დროს ლვოვში ვსწავლობდი“.

ეს ის 40-50-იანი წლებია, როდესაც უკრაინაში, განსაკუთრებით კი მის დასავლეთ რეგიონებში მძვინვარებდა პარტიზანული ომი რუსი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამიტომაც ამ მხარეში გადასროლილ იქნა სუკის უზარმაზარი ძალები. შინაგანმა ჯარებმა ალყაში მოიქციეს მთელი რაიონები. დაპატიმრებულ იქნა უამრავი ეჭვმიტანილი. უფრო მეტი მოექცა ჩეკისტური დამუშავების ქვეშ.



მეთვალყურეობის ქვეშ იყო სტაშინსკების ოჯახიც. სუკმა დაადგინა, რომ ირინა ბანდერელი იყო, მაგრამ მისი დაკავება არ იჩქარეს, ეგებ მოხერხდეს ამ ფაქტის გამოყენება? მართალია, ამ პატიოსანი და გულმხურვალე პატრიოტი გოგონას მოსყიდვა შეუძლებელია, მაგრამ ხომ შეიძლება მისი ოჯახის რომელიმე წევრის გადმობირება და ირინას დახმარებით ბანდერელთა რიგებში დამკვიდრება? არჩევანი მის საყვარელ ძმა ბოგდანზე შეჩერდა, რომელსაც და თვალდახუჭული ენდობოდა. ჩეკისტებმაც დაიწყეს მისი პიროვნების გულმოდგინე შესწავლა. როდესაც დარწმუნდნენ, რომ უბრალო სოფლელ ბიჭთან ჰქონდათ საქმე, რომელსაც ხშირად მგზავრობის ფულიც კი არ გააჩნდა და ლვოვიდან თავის სოფელში უბილეთოდ მგზავრობდა, დაუწყეს გასაღების მორგება. მატარებელში თავისი ერთ-ერთი უბილეთო მგზავრობისას ბოგდანი სატრანსპორტო მილიციამ დააკავა. ის წაიყვანეს განყოფილებაში, სადაც მას ესაუბრა სამოქალაქოში ჩაცმული კაცი, რომელიც გაეცნო, როგორც სუკის კაპიტანი სინიაკოვსკი. მან უთხრა ბოგდანს, რომ სუკში იციან ირინას ბანდერელებთან კონტაქტების თაობაზე. სტაშინსკის წაუყენეს ულტიმატუმი: ან დის პასუხისგებაში მიცემა და ოჯახის ციმბირში გასახლება, ან სუკთან თანამშრომლობა. სტაშინსკიმ მეორე აირჩია. ასე გახდა ის სუკის აგენტი.

პირველი დავალება, რომელიც სტაშინსკიმ მიიღო, გახლდათ თანაკურსელებზე ინფორმაციის შეგროვება. ის მეტწილად საკონტროლო ხასიათს ატარებდა, რადგანაც ჩეკისტებს უნდა სცოდნოდათ ობიექტის ინტელექტუალური დონე და დაკვირვების უნარი. როდესაც დარწმუნდნენ, რომ კანდიდატურა სავსებით შესაფერისია, უფრო სერიოზული დავალება მისცეს. სტაშინსკის უბრძანეს, დამკვიდრებულიყო მის სოფელში მომქმედ ნაციონალისტურ ორგანიზაციაში. ირინას დახმარებით ბოგდანმა ეს ადვილად შეძლო. ამის შემდეგ კი დაავალეს შეეღწია ტყეში მოქმედ რაზმში, სადაც თავს აფარებდა ვინმე მიხაილო სტახური, რომელსაც სუკი ბრალს სდებდა მწერალ იაროსლავ გალანის მკვლელობაში. თავისი დის დახმარებით სტაშინსკიმ იშოვა რეკომენდაცია, დამკვიდრდა ხსენებულ რაზმში, შეაგროვა ინფორმაცია სტახურზე, შემდეგ გაიპარა რაზმიდან და ყოველივე გადასცა სუკს. მალე სტახური ჩეკისტებმა შეიპყრეს და დახვრიტეს.

დავალების წარმატებით შესრულების შემდეგ სტაშინსკის აგზავნიან სპეცკურსებზე კიევში. მათი დასრულების შემდგომ ის ირიცხება გდრ-ში მოქმედ სუკის სპეციალურ ჯგუფში, რომლის ამოცანაცაა უკრაინული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლებზე თვალყურის დევნება. სტაშინსკის უშუალო უფროსი იყო სუკის ოფიცერი, აგენტურული მეტსახელით სერგეი.

გფრ-ს ტერიტორიაზე მისი პირველი ტერაქტი გახლდათ პროფესორ ლევ რებეტის მკვლელობა. რებეტი, რომელიც ბანდერას მოქიშპე ნაციონალისტურ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, სტაშინსკიმ მოკლა სპეციალური პისტოლეტით, რომელიც ისროდა კალიუმის ციანიდის ბაზაზე დამზადებულ ამპულიან ტყვიებს. შხამი ესხმებოდა მსხვერპლს სახეში, მას შეიწოვდა სისხლძარღვები, რის შედეგადაც ის უმალ მოედებოდა ორგანიზმს და იწვევდა უეცარ სიკვდილს. ამ მომაკვდინებელი შხამის აღმოჩენა მხოლოდ გულდასმითი ექსპერტიზის შედეგად თუ შეიძლებოდა. ამიტომაც ექიმები ჩვეულებრივ ადგენდნენ მხოლოდ იმას, რომ გული გაჩერდა და აკეთებდნენ დასკვნას გულის შეტევის შესახებ.

ასე მოხდა რებეტის შემთხვევაში...

წარმატებით ფრთაშესხმულმა ჩეკისტებმა გადაწყვიტეს იგივე გაემეორებინათ ბანდერას მიმართაც...

სტაშინსკი კვლავ აღჭურვეს სპეციალური პისტოლეტით. ოღონდ მას უკვე დამცავი ბადეც ჰქონდა, რათა ოდნავი კვალიც კი არ დაეტოვებინა მსხვერპლის სახეზე.

დასავლეთის საზოგადოებას აწვალებდა ერთი კითხვა: რა აიძულებდა მას, უკრაინელს, ასე გულგრილად გასწორებოდა თავისივე ერის განთავისუფლებისთვის მებრძოლთ? ეგებ ჰქონდა რაიმე პირადი მიზეზი?

ამ შეკითხვამ გაიჟღერა სასამართლო პროცესზეც...

— თუ გქონდათ რაიმე პირადი მიზეზი ბანდერას მოსაკლავად?

— პირადი მიზეზი არა მქონია. მე ბრძანებას ვასრულებდი.

— იცით თუ არა რისთვის იბრძოდა თქვენი და?

— დიახ, დამოუკიდებელი უკრაინისათვის.

— არ დაფიქრებულხართ იმაზე, რომ დამოუკიდებლობა ეს ყოველი ერის უფლებაა და რომ უკრაინას სსრკ-დან გასვლა თვით საბჭოთა კონსტიტუციითაც კი აქვს გარანტირებული?

— მე სამართალმცოდნე არ გახლავართ, რომ პასუხი გაგცეთ. ამ მოკლე დიალოგიდან ნათლად ჩანს არა მარტო სტაშინსკის პიროვნება, არამედ იმ სატანური მანქანის არსი, ვინც იგი ჯაშუშად და მკვლელად გამოზარდა.

რაც შეეხება ბანდერას მკვლელობის ტექნიკურ მხარეს, მასზე სტაშინსკიმ დაწვრილებით ისაუბრა...

## მკვლელობის ანატომია

აპრილის ბოლოსათვის სტაშინსკი მოსკოვში გამოიძახეს. აქ მას ესაუბრა სუკის მაღალი ჩინის მოხელე, რომელიც გიორგი ავქსენტიევიჩად გაეცნო. მან შეაქო ბოგდანი დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის განუცხადა, რომ გადაწყვეტილია სტეპან ბანდერას ლიკვიდაცია და რომ ეს მას, სტაშინსკის, ევალება.

თავმჯდომარე იაგუში: ვინ გადაწყვიტა ეს?

სტაშინსკი: ჩემთვის არ უთქვამთ, მაგრამ ცხადი იყო, რომ გადაწყვეტილება საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობისაგან მომდინარეობდა. მათ რიგებს მიეკუთვნებოდა შელეპინიც (სუკის მაშინდელი უფროსი ნ.თ.) გიორგი ავქსენტიევიჩმა იქვე გადასცა სტაშინსკის ხსენებული გაუმჯობესებული სპეციალური პისტოლეტი.

მიუნხენში ჩასული სტაშინსკი იწყებს ბანდერაზე თვალთვალს. მან დეტალურად შეისწავლა მისი ცხოვრების წესი, ის, თუ რომელ საათზე გადიოდა სახლიდან, როდის მოდიოდა სასადილოდ და ა.შ. ამის შემდეგ ის ღებულობს ბრძანებას, გადავიდეს ოპერაციის დასკვნით ნაწილზე თითქოს ყველაფერი მზადაა, ხელიდან უშვებს ბანდერას მოკვლის საუკეთესო შანსს და ასე ხელსაყრელი [illegible] დება აღმოსავლეთ ბერლინში [illegible] ბა ტუქსავს მას დავალების შეუსრულებლობისათვის. 1959 წლის 15 ოქტომბერს ის კვლავ ჩამოდის მიუნხენში, რათა სისრულეში მოიყვანოს კრემლის მესვეურთა მიერ ბანდერასადმი გამოტანილი განაჩენი...

პარასკევს 16 ოქტომბერს, შუადღის პირველ საათზე კრაიმარშტრასე 7 სახლთან დარაჯებული სტაშინსკი მოთმინებით ელის ბანდერას მოსვლას. მკვლელს უკვე მოთმინება ეწურებოდა. ის მალიმალ დახედავდა საათს, ნერვიულად იკვნეტდა ტუჩებს. ის-ის იყო, მოთმინებაგადაწურულმა უკვე წასვლა დააპირა, რომ დაინახა ნაცნობი მანქანა, რომელიც მისთვის უკვე კარგად ნაცნობ სახლთან გაჩერდა. მანქანიდან გადმოვიდა ასე 50-ოდე წლის მელოტი მამაკაცი, რომელსაც ხელში პროდუქტებიანი ჩანთა ეჭირა. ეს ბანდერა იყო. იგი დინჯი ნაბიჯებით შევიდა სადარბაზოში. მანქანა კი, რომელშიც შეიარაღებული მცველები ისხდნენ, ადგილს მოსწყდა და გაუჩინარდა. სტაშინსკიმ დაინახა რა ეს, ქუჩა გადმოკვეთა და ბანდერას კვალდაკვალ სადარბაზოში შევიდა.

შემდგომში არაერთგზის წამოიჭრა კითხვა: რატომ წავიდა დაცვა? მცველებმა განაცხადეს, რომ წასვლის ბრძანება რაციით მიიღეს. ვინ გასცა იგი? ამის თაობაზე ათეული წლების განმავლობაში ბევრი ითქვა და დაიწერა. საიდუმლოებას სრულფასოვნად აეხადა ფარდა მხოლოდ 1992 წელს, როდესაც სუკის ექს-გენერალმა კალუგინმა გაზეთ „სამოსტიინაია უკრაინასთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ სუკმა ბანდერას დაცვისათვის მოაწყო რაციით გადაცემული ბრძანების ინსცენირება. მცველებიც წამოეგნენ ამას. შესაბამისად ბანდერა მარტო დარჩა დადარაჯებული მკვლელის პირისპირ.

სტაშინსკიმ კატისებური ნაბიჯებით აირბინა კიბე. ამ დროს მოხდა ერთი მოულოდნელობა, რამაც კინაღამ ჩაშალა ოპერაცია. ერთ-ერთი ბინიდან გამოვიდა ქალი და პირდაპირ სტაშინსკისაკენ წამოვიდა. მკვლელი სწრაფად შემოტრიალდა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ლიფტის გამოძახებას აპირებდა. ქალმა გვერდით ჩაუარა. დარწმუნდა, რომ ირგვლივ არავინ იყო, მან აირბინა კიბე და იმ მომენტში შედგა ფეხი მეორე სართულის კიბის ბაქანზე, როდესაც ბანდერა გასაღებს არგებდა თავისი ბინის კარებს. ახლა საჭირო იყო რაიმე უწყინარი კითხვით მსხვერპლის ყურადღების გაფანტვა...

— რაო, საკეტი არ მუშაობს? — ჩუმად იკითხა სტაშინსკიმ.

ბანდერა შემობრუნდა.

— არა, ყველაფერი რიგზეა, — მიუგო მან.

გაგრძელება. დასაწ. „საქართველო“ №98

გაგრძელება იქნება

# ბარბაროსობის სუნთქვა

## ძალადობა და ცივილიზაციური კრახი რუსეთში

### ვლადიმირ კანტორი

### ზემოდან მომავალი ძალადობა

ივანე მეოთხის მიერ განხორციელებული რეფორმების შემდეგ, რაც გამოიხატებოდა ე.წ. „ზემსკი საბორის“ მოწვევაში, სათათბირო ორგანოების ჩამოყალიბებაში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შექმნაში, თვით სახელმწიფოს პოლიტიკამ ყველა ამ წამოწყების შედეგები ნულზე დაიყვანა. სამწუხაროდ, ცნობილი დეკემბრის მოვლენების შემდეგ, 1564 წელს, ივანე მეოთხე მოსკოვიდან ალექსანდროვსკაია სლობოდაში გადავიდა, ბოიარების გვერდის ავლით მიმართა ხალხს ორი განცხადებით. პირველში იტყობინებოდა ბოიარებისა და სასულიერო პირთა ღალატის შესახებ, ხოლო მეორეში ამბობდა, რომ ხალხზე განაწყენებული არ არის. სულ მალე მეფემ მიიღო ხალხის თავისებური თანხმობა ბოიართა განადგურების შესახებ. როგორც კლიუჩევსკი ამბობს: „გამოსთხოვა ხალხს პოლიციური დიქტატურა“. ანუ „ოპრიჩნინის“ შექმნის პროვოცირება მოახერხა, რომელიც მესამე განყოფილების, ჩეკა-ს ფორმით ყოველთვის იქმნებოდა რუსეთში. „ოპრიჩნინის გამარჯვება, — შენიშნავდა გფედოტოვი, — როგორც ახალი „დემოკრატიული“ კლასის უპირატესობა ძველ დიდგვაროვანთა ფენაზე, ნიშნავდა მმართველი ფენის ბარბაროსიზაციას, მონური თვითშეგნების გაძლიერებას და მშრომელი ხალხის ექსპლუატაციის ზრდას (ხომ არაფერი გვეცნობათ? — მთარგ.შენ.)“.

რატომ მოხდა ასე? რეფორმების პროცესში ნათელი გახდა, რომ ამ გზით ბოიარები გაცილებით მეტ უფლებებს მოიპოვებდნენ, შესაბამისად — რეალური მმართველობის შესაძლებლობასაც. ახლად დამკვიდრებული სამეფო მმართველობა შეიძლებოდა საფრთხის ქვეშ აღმოჩენილიყო, რაც გამოჩნდა კიდევაც მეფის ავადმყოფობის დროს, როდესაც ბოიარებმა ახალ მეფეზე დაიწყეს ფიქრი. მაგრამ, როგორც ხედავთ, ფიქრიც კი სასიკვდილო ცოდვად ითვლებოდა და ასჯერ უფრო მკაცრად ისჯებოდა, ვიდრე დასავლეთ-ევროპელი სენიორები სჯიდნენ თავიანთ ვასალებს. მაგრამ რა არ მოსწონდა ბოიარების მოქმედებაში ივანეს? ჩვენ ვიცით, თუ როგორ მიმდინარეობდა მეფისა და ვასალების ბრძოლა ევროპაში, რისთვის და როგორ იბრძოდნენ ისინი. არა მარტო დაუმორჩილებლობა, არამედ საკუთარი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და აჯანყებებიც კი იყო ევროპულ ისტორიაში. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ მეფესა და მის ვასალებს შორის დადებულა ხელშეკრულება „სახელმწიფოს საკეთილდღეოდ“. იყო რამე ამის მსგავსი რუსეთში? არც აჯანყება და არც შეთქმულება არ იყო საჭირო იმისათვის, რომ ივანეს სისხლში ჩაეხრჩო მთელი საბოიარო ხმლით, რომლის ხმარება კი არა, ტარებაც დიდი პრობლემა იყო მეფისათვის. სამაგიეროდ ძალზე კარგად გრძნობდა თავს ქვაბისა და კოვზის საზოგადოებაში.

სტალინის ტირანიასთან ძალზე დიდი მსგავსებაა, რამეთუ ბოლშევიკებმაც დიდი დაპირებებით აღავსეს ხალხი, თითქოს ქვეყნის ევროპიზირებას აპირებდნენ (კიდევ ერთი ნაცნობი სურათი — მთარგ.შენ.), სინამდვილეში კი რუსეთი პეტრემდელ კი არა, საერთოდ რომანოვებამდელ დროს დაუბრუნეს. ეს სულაც არ უშლიდათ ხელს, რომ დასავლეთევროპელი მარქსის სახელი ეფიცათ, ისევე როგორც არ უშლიდა ხელს ივანე მეოთხეს თავი გერმანელად გაესაღებინა და მიწერ-მოწერა ეწარმოებინა ინგლისის დედოფალ ელისაბედთან. მიმოწერას კი მართლაც აწარმოებდა, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბების ინგლისური ვარიანტი ძალიან აშინებდა რუს გვირგვინოსანს. სლავიანოფილები პირდაპირ შეყვარებულები იყვნენ ინგლისზე და თანამედროვეობის საუკეთესო სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ, ისევე, როგორც რუსეთს — მომავლის საუკეთესო სახელმწიფოდ. მათ ხელს უშლიდა ივანე მეოთხე, რომელიც ღირებულებას უკარგავდა მოსკოვის სამეფოს შესახებ არსებული ლეგენდის ჰარმონიას. აქედან იღებს სათავეს მათი სიძულვილი ამ პერსონის მიმართ. ხომიაკოვი ამგვარად პასუხობდა თავისივე მიერ დასმულ კითხვას: „ეს სასაკლაო სათავეს იღებდა სრულიად ნათელი ორი საწყისიდან — იოანეს მტრობა, ერთის მხრივ, აზრის თავისუფლებისადმი უმაღლეს ფენებში და მეორე მხრივ, წინასწარდაგეგმილი ყაჩაღობა. აი, რატომ ხდება, რომ როდესაც თავისი უახლოესი ფენის განადგურების საქმეში, მათი, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვს თავისი უფლებების შესახებ, მეფე ხალხს მიმართავდა დახმარებისათვის, რომელსაც უცხოდ მიაჩნია ევროპული ცხოვრების წესი. ხალხისათვის უცხოა უფლების, საკუთრების, თავისუფლების ცნებანი. აქედან იწყება ცხოვრების იმ სტილის ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომში რუსულ მენტალიტეტად იქნა წოდებული.

### ქვემოდან მომავალი ძალადობა

თვით ივანე მეოთხე (იაკობ რეიტენფელსის ცნობით) აცხადებდა, რომ „დასავლეთის ხელმწიფენი ხალხს მბრძანებლობენ, ხოლო თვით იგი — პირუტყვებს“. ასეთი მიდგომა საკითხის მიმართ ხალხის თვითშეგნებაზედაც მოქმედებდა, დამოუკიდებლობას ართმევდა მას. იქმნებოდა მანკიერი წრე. დინასტიის დამთავრებასთან ერთად, — ირონიზირებდა კლიუჩევსკი, აღარავინ იყო ისეთი, ვისაც უნდა დამორჩილებოდა ხალხი, ამიტომაც საჭირო იყო ბუნტი. მოსკოვის სამეფოს ქვეშევრდომები, მოქმედ კანონმდებლობას მოკლებულნი და თავის თავთან მარტო დატოვებულნი, მიეცნენ ისეთ ცხოვრებას, რომელიც მათთვის ყველაზე ადვილი განსახორციელებელი იყო. მათ საზოგადოებაში უპირატეს გავლენას ისინი ფლობდნენ, ის ძალები, რომელთათვისაც არასამართლებრივი, ნახევრადდანაშაულებრივი, „პირუტყული“ ურთიერთობის სისტემა ჩვეულებრივი მოვლენა იყო — ქურდული ბანდები, კაზაკთა რაზმები. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში მათ აავსეს რუსეთი. რუსი ისტორიკოსები ამ მოვლენას ხსნიდნენ ხალხში დაგროვებული ბოღმის ამოხეთქვით. უბრალოდ რომ ვთქვათ, ეროვნული ორგანიზმის მძიმე ავადმყოფობა, მანამდე დაფარული მაკონტროლებელი თვალისაგან გარეთ გამოვიდა. და მხოლოდ მოსკოვის მმართველთა დესპოტიზმი იყო ასეთი ცნობიერების ჩამოყალიბების მიზეზი.

ბორის გოდუნოვმა შემოიტანა გარკვეული ევროპული სიახლეები, რომლითაც უფრო მეტად უნდა დაეახლოებინათ მოსკოვის სამეფო დასავლეთთან. იგი ცდილობდა ბოლო პერიოდის ივანე მრისხანის მსგავსად ემოქმედა — ბოიარების გარეშე. მაგრამ მათი წრიდან გამოსულს ბოიარები არ პატიობდნენ მათთან მიმართებაში იმ სიმკაცრეს, რომელსაც ბორის გოდუნოვი ავლენდა და რომელსაც ისინი ივანე მრისხანესაგან ისე ღებულობდნენ, როგორც ჩვეულებრივ ამბავს. სწორედ მათ მიერ იყო შექმნილი „თვითმარქვია“ და მათვე წამოიწყეს ბუნტი. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა გ.ფედოტოვი, „რუსეთის განვითარების უახლესი ეტაპი წარმოადგენდა სისწრაფეში შეჯიბრებას, ვინ აჯობებს, განმათავისუფლებელი ევროპიზაცია, თუ მოსკოვური ბუნტი, რომელიც დაახრჩობს ახალფეხადგმულ თავისუფლებას სახალხო მრისხანების ტალღით“.

აჯანყებული დაბალი ფენები, ერთი მხრივ, არ უარყოფდნენ ევროპულ თავისუფლებას, მაგრამ მათ ესმოდათ, რომ ეს იყო სატყუარა, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც მოიტანდა ანარქიასა და უკანონობას. მეორე მხრივ, არ შეიძლება ინტუიციურად არ ვგრძნოთ, რომ ევროპიზაცია მათი ცხოვრების გაუარესებას გამოიწვევდა. ევროპიზმის ანბანის შესწავლა იყო რუსეთის სახელმწიფოს გადარჩენის პირობა,რომელიც ევროპასთან შეხვედრად გავიდა „რკინის ფარდის იქიდან“, მონგოლთა ბატონობის დროიდან რომ ყოფდა ამ სამყაროებს. გასაგებია, რომ ევროპიზირებული, ცივილიზებული საზოგადოების აშენება შეუძლებელია ეროვნული სიმდიდრის გარკვეული მარაგის დაგროვების გარეშე ასეთი სიმდიდრის დაგროვება ღარიბ ქვეყანაში მხოლოდ ხალხის დამონების გზით თუ შეიძლებოდა. მეჩვიდმეტე საუკუნე არის ბატონყმობის საბოლოოდ დაკანონების პერიოდი: ბორის გოდუნოვის რეფორმებიდან ალექსეი მიხეილის ძის გამეფებამდე 1647 წელს. სიტუაცია აუცილებლობით უკავშირდებოდა მრავალ წინააღმდეგობას.

გაგრძელება. დასაწ. „საქართველო“ №93- 98.

გაგრძელება იქნება

# „შევარდნაძისათვის მეტი შეურაცხყოფა, ვიდრე მისი მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობაა— შეუძლებელია“

**მთორე გვერდიდან**

ცია ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ სხვა თანამდებობების შეთავსების უფლებას სრულიად სხვა მუხლებში განსაზღვრავს. კერძოდ, პარლამენტის წევრებს მიეძღვნა კონსტიტუციის 53–ე მუხლი, რომელშიც განსაზღვრულია, რომ მათ უფლება არა აქვთ ეკავოთ რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას და ა.შ. პარტიული თანამდებობების დაკავება მათ არ ეკრძალებათ.

მთავრობის წევრების უფლებები ამ ნაწილში რეგულირდება კონსტიტუციის მე–80 მუხლით, რომელშიც პირდაპირაა აღნიშნული, რომ „მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა...“ ანუ მათ, კონსტიტუციით, სპეციალურად აქვთ პარტიული თანამდებობის დაკავების უფლება.

კატეგორიულად ეკრძალებათ ნებისმიერი სხვა თანამდებობის დაკავება მოსამართლეებს (იხ.კონსტიტუციის 86–ე მუხლის მე-3 ნაწილი). ასევე კატეგორიულია საქართველოს კონსტიტუციის 72–ე მუხლის მოთხოვნა, რომელშიც პირდაპირაა აღნიშნული, რომ „საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა...“

ცოტა ძნელია იმის დაჯერება, რომ მოქალაქეთა კავშირის გენერალური მდივანი იცნობდეს ზემოაღნიშნულ მუხლებს, მართლაც ვერ გარკვეულიყო მათ შინაარსში და მსგავსი ბრალდებებით გამოსვლის უფლებას აძლევდეს თავს, თუ წინასწარ არ არის განსაზღვრული არა მარტო საზოგადოების, არამედ თვით პრეზიდენტის შეცდომაში შეყვანა. თუ მოქალაქეთა კავშირი თავისი თავმჯდომარის თანამდებობას თანამდებობად არ მიიჩნევს? აშკარად ვერ დავდებთ ბრალს „მოქალაქეებს“ გულუბრყვილობაში, მაგრამ თუ მართლაც ზედაპირული დამოკიდებულებით კონსტიტუციისადმი ან უცოდინარობით არ იმართლებენ თავს, მაშინ აშკარად ხალხის მოტყუების მცდელობასთან გვაქვს საქმე.

იმედია, რომ ყველა დეპუტატი თუ მოსამართლე მსგავსი ლიდერების გავლენის ქვეშ ჯერ არ არის მოქცეული. ამიტომაც გვწამს, რომ კონსტიტუციური მოთხოვნა შესრულდება – პრეზიდენტი აღარ შეითავსებს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარეობას დროა, საქართველომ იხელმძღვანელოს კანონით და არა პრეზიდენტის ავტორიტეტს ამოფარებულ მაღალჩინოსანთა ინტერესებით.

როდესაც პარტია უბიძგებს პრეზიდენტს კონსტიტუციის დარღვევისაკენ, მისი ასეთი პარტიის არა მარტო თავმჯდომარეობა, არამედ წევრობაც კი (რაც კონსტიტუციით აკრძალული არ არის) მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

მაგრამ ეს თავად პრეზიდენტის გადასაწყვეტია. სწორედ პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი პატივისცემამ და ქვეყნის ინტერესებმა გვაიძულა დაგვეყენებინა ეს საკითხი და ვიმედოვნებთ, რომ კონსტიტუციის მოთხოვნა შესრულდება.

**საქართველოს სოციალისტური პარტიის პრეს-ცენტრი**

იყიდება ქავთარაძეზე 3 ოთახიანი ბინა (ხრუშჩოვკა) ტელეფონით, მე–5 სართულზე. ფასი 13000$
დაგვირეკეთ
ტელ. 98–22–68 ალიკო

# ლატარია ყველასათვის

## 10 ოქტომბერს გამართულ მე-40 ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

| | |
|---|---|
| 5000 ლარი – 727219; | 50 ლარი – *31783; |
| 1000 ლარი – 145892; | 50 ლარი – *15923; |
| 900 ლარი – 839520; | 40 ლარი – *32482; |
| 800 ლარი – 315324; | 40 ლარი – *26276; |
| 700 ლარი – 828183; | 30 ლარი – *01881; |
| 600 ლარი – 337056; | 30 ლარი – *07705; |
| 500 ლარი – 222094; | 25 ლარი – **2905; |
| 400 ლარი – 712317; | 20 ლარი – **8505; |
| 300 ლარი – 541685; | 10 ლარი – ***307; |
| 200 ლარი – 613696; | 10 ლარი – ***274; |
| 100 ლარი – 826723; | 10 ლარი – ***547; |
| 100 ლარი – 506436; | 5 ლარი – ***389; |
| 100 ლარი – 722745; | 5 ლარი – ***145; |
| 100 ლარი – 413105; | 1 ლარი – ***723; |
| 100 ლარი – 722012; | 1 ლარი – ***685; |
| 90 ლარი – *20438; | 1 ლარი – ***317; |
| 90 ლარი – *44414; | 1 ლარი – ***094; |
| 80 ლარი – *28088; | 1 ლარი – ***183; |
| 80 ლარი – *19185; | 1 ლარი – ***696; |
| 70 ლარი – *17345; | 1 ლარი – ***520; |
| 70 ლარი – *03272; | 1 ლარი – ***056; |
| 60 ლარი – *39670; | 1 ლარი – ***892; |
| 60 ლარი – *39349; | 1 ბილეთი – ***1; |

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.
1997 წლის 40–ე ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **4094**; შეუძლიათ 17 ოქტომბერს მობრძანდნენ ტელევიზიის შენობაში „ლატარია ყველასათვის“ მორიგი ტირაჟის გათამაშებაზე.

# კროსვორდი




**თარაზულად:** 1. სასჯელის მოხსნა ან შემსუბუქება – უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების დადგენილებით; 2. ზღაპრული შინაარსის იგავი; 3. ადამიანთა ნებაყოფლობითი გაერთიანება რაიმე საქმის შესასრულებლად; 4. ორსულობის ნაადრევად შეწყვეტა; 5. ზოგი ბოსტნეული ან ბალახი, რომლის ფოთლებს ხარშავენ საჭმლად; 6. ერთი ავტორის სამი ნაწარმოები, რომლებიც საერთო ჩანაფიქრებით არის გაერთიანებული; 9. პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი, თავადზე დაბლა მდგომი; 13. წყალში შერეული ძმარი, შენელებული ხახვით, მწვანილითა და მარილით; 24. მდიდარი მუსულმანის სახლში მისი ცოლებისათვის გამოყოფილი სადგომი; 16. ერთი ან რამდენიმე იმპერიალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე მისი ტერიტორიის დაპყრობისა და მოსახლეობის დამონების მიზნით; 17. გონიერი ადამიანი; 22. ხელოვნურად გამოწვეული ძილთან მიახლოვებული მდგომარეობა; 23. წვრილ-წვრილ ქურდობაში შემჩნეული; 25. იგივე „დაინერგება“; 28. ქათამზე მომცრო გარეული ფრინველი; მამალს აქვს ლამაზი ბუმბული, ყელი, ფრთები, ბოლო; 29. ერთ-ერთი შეგრძნება, რომლის ორგანოა ცხვირი; 30. სრულად არ არის; 32. ჟანგბადის, აზოტისა და სხვა უფერო აირების ნარევი, რომელიც ქმნის დედამიწის ატმოსფეროს.

**შვეულად:** 7. სახელმწიფოს საზღვაო ფლოტის უფროსი; 8. მოუვლელობით, შიგადაშიგ გამხმარი, გამეჩხერებული ვენახი, ბაღი; 10. ზოგიერთი ბალახის ნაყოფი, შემოსილი კაუჭიანი ეკლით; 11. იგივეა, რაც ზარნაშო; 12. მთამსვლელი; 15. ნაკურთხი წყალი; 18. მშრალად მოხარშული და ერბოში მოშუშული ფლავი, რომელიც მარცვალ-მარცვალ იშლება; 19. ზაფხულობით საცხოვრებელი, დასასვენებელი ადგილი; 20. რვეულში ლამაზად და სუფთად (...); 21. ცოლის მამა; 24. მეცნიერება ჯანმრთელობის შესახებ, შეისწავლის დაავადებათა თავიდან აცილების საშუალებებს; 26. პურეულის აღმონაცენი; 27. სითხის ან აირის სადენი მილის საკეტი; 31. ზედმეტად ამაყი; 33. გაიძვერული ხერხი რისამე მისაღწევად; 34. სიმღერის, მუსიკის კილო–მელოდია; 35. იგივეა, რაც „ელუნება“; 36. მთამადნეულის (ლითონის, მინერალის) შემცველი ფენა ნიადაგში.

**ქეთევან ბეროშვილი**

# თავდასხმა მიუნხენში

დანარჩენი წამის მეათედებში მოხდა.

სტაშინსკიც სწორედ იმას უცდიდა, რომ ბანდერა მისკენ სახით შემობრუნებულიყო. მან ელვის სისწრაფით გამოისროლა წინ პისტოლეტიანი ხელი და სასხლეტს გამოჰკრა, გაისმა მოშიშინე ხმა, ყრუდ გასკდა ამპულა.

— მე დავინახე, — თქვა სასამართლოზე სტაშინსკიმ — თუ როგორ დაბარბაცდა ის და დაენარცხა კიბეზე.

ბანდერას სუნთქვა შეეკრა, ხელები მოუდუნდა, თვალები ჩაეფერფლა, მისი გათანგული სხეული ყრუდ დაენარცხა კიბეზე და დაგორდა ძირს. მკვლელმა გადააბიჯა მის გვამს, სწრაფად გავარდა ქუჩაში. პირველსავე შემხვედრ თხრილში მან პისტოლეტი და ტაბლეტებიანი ტუბი მოისროლა. მათში იდო ატროპინის ტაბლეტები, რომლებიც სპეციალურად გადაყლაპა სტაშინსკიმ, რათა თავი დაეცვა კალიუმციანიდის შესაძლო ზემოქმედებისაგან.

იმავე საღამოს ის უკვე აღმოსავლეთ ბერლინში იყო...

უფროსებმა შეაქეს დავალების ბრწყინვალე შესრულებისათვის. ვიწრო წრეში სტაშინსკის გააცნეს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მისთვის წითელი დროშის ორდენის მინიჭების შესახებ. დადგენილებას ხელს აწერდნენ ვოროშილოვი და გიორგაძე. მოსკოვში დაბრუნებული ბანდერას მკვლელი კი თავად შელეპინმა მიიღო. საუბრის შემდეგ მან უთხრა სტაშინსკის, რომ ის კვლავ იმუშავებდა დასავლეთში იმავე ხაზით.

სტაშინსკის, როგორც მკვლელის, კარიერას არაფერი არ ემუქრებოდა.

## გაქცევა

წითელი დროშის ორდენი სტაშინსკის გადაეცა 1959 წლის 21 სექტემბერს.

თითქოს არაფერი უშლიდა ხელს მის შემდგომ წარმატებულ კარიერას.

მაგრამ გამოჩნდა ერთი დეტალი, რამაც გადააბრუნა სტაშინსკის მთელი ცხოვრება და, როგორც ბულვარულ რომანებშია ხოლმე ეს იყო ქალი...

საქმე ეხება სტაშინსკის ურთიერთობებს გდრ-ს მოქალაქე ინგე პოლთან, რომელიც მან აღმოსავლეთ ბერლინში გაიცნო. ქალმა დიდხანს არ იცოდა, თუ სინამდვილეში ვინ ბრძანდებოდა მისი კავალერი. მაგრამ ურთიერთობები ძალიან შორს წავიდა. ბოლოს სტაშინსკიმ ინგეზე დაქორწინება გადაწყვიტა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ხელისუფალთა ნებართვა. უფროსებმა მისცეს ნება, ოღონდ ერთი პირობით. ინგე უნდა გადასახლებულიყო მოსკოვში და ემუშავა სუკზე. მაშინ სტაშინსკი იძულებული შეიქმნა გამოტყდომოდა, თუ ვინც იყო სინამდვილეში. ინგემ მას დასავლეთში გაქცევა შესთავაზა. სტაშინსკი არ დაეთანხმა, რადგან გაქცევა მეტად სარისკო საქმედ მიაჩნდა. ბოლოს ინგე პოლი დათანხმდა მოსკოვში საცხოვრებლად გადასვლაზე, მაგრამ კატეგორიულად თქვა უარი სუკის აგენტად გახდომაზე. აქედან დაიწყო სწორედ სტაშინსკის უსიამოვნებანი. მას კარგა ხანს არ უშვებდნენ აღმოსავლეთ ბერლინში. ბოლოს მოახერხა ნებართვის მიღება, გაემგზავრა გდრ-ში და იქორწინა ინგესთან ადგილობრივ კათოლიკურ ეკლესიაში.

ჯერ კიდევ ინგესთან ერთად მოსკოვში ცხოვრების პერიოდში დაადგინა, რომ უთვალთვალებდნენ, რომ მისი ტელეფონი ისმინებოდა. უფროსები სუკში არაერთგზის უუბნებოდნენ, რომ ის კიდევ ინანებს თავისი არჩევანის გამო. სტაშინსკის აღარ უშვებდნენ უცხოეთში. მას შემდეგაც კი, რაც ფეხმძიმე ინგე გდრ-ში გაემგზავრა, ბოგდანს არავითარ არ მისცეს გამგზავრების ნება. აქ სტაშინსკი საბოლოოდ მიხვდა, რომ აღარ ენდობოდნენ. ე.ი. მალე სანაგვე კალათაში მოისვრიდნენ. მას, ბუნებრივია, ეს არ სურდა, ამიტომ საბოლოოდ გადაწყვიტა დასავლეთში გაქცევა.

გდრ-ში გამგზავრების უფლება მან მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, რაც გარდაიცვალა მისი ახლად დაბადებული ბიჭუნა პეტრე (1961 წლის აგვისტო). შვილის დაკრძალვაზეც კი მან რის ვაი-ვაგლახით შესძლო ნებართვის მიღება. მიხვდა რა, რომ ეს უკანასკნელი იყო, აგრეთვე ჩასწვდა რა იმასაც, რომ სუკ-ში მისი კარიერა დამთავრებული იყო და რომ მას, როგორც ბევრის მცოდნეს, კარგი დღე არ ელოდა, გადაწყვიტა გამოეყენებინა გაქცევის თუნდაც მინიმალური შანსი. მიუხედავად იმისა, რომ ინგეს მშობლების სახლი სოფელ ტელგოფში გდრ-ს შტაზის გაძლიერებული მეთვალყურეობის ქვეშ იყო, ბოგდანმა და მისმა მეუღლემ შესძლეს იქიდან შეუმჩნევლად გამოსვლა. ცოლ-ქმარმა შესძლო საზღვრამდე მისვლა, მისი გადალახვა და დასავლეთ ბერლინში გადასვლა. აქ ისინი ინგეს ბიძასთან გამოცხადნენ, რომელმაც თავად მიიყვანა სტაშინსკი პოლიციაში.

ამგვარად აღმოჩნდა გფრ-ს პოლიციის ხელში ბანდერას მკვლელი.

სასამართლო სხდომები გაგრძელდა 1962 წლის 20 დეკემბრამდე. განაჩენის გამოტანისას გათვალისწინებულ იქნა ის, რომ სტაშინსკი სიცოცხლის რისკით გადავიდა საზღვარზე, რომ ის ნებაყოფლობით გამოცხადდა გფრ-ს სამართალდამცავ ორგანოებში და მას მიესაჯა 8 წლით პატიმრობა. მკაცრი, მაგრამ სასამართლოს უმთავრესი შედეგი იყო ის, რომ მასზე ხმამაღლა ითქვა: ბანდერას მკვლელობაში დამნაშავეა საბჭოთა მთავრობა, რომელმაც განსაზღვრა ეს ტერაქტი მიუნხენში.

## ეპილოგი

უკვე 30 წელზე მეტი გავიდა, რაც დასრულდა სტაშინსკის სასამართლო პროცესი. ეს პირველი სასამართლო, როდესაც სამსჯავროზე წარსდგა საბჭოთა სისტემა და საბჭოთა სუკი. ეს იმდენად დიდი შოკი იყო იმპერიისათვის, რომ მან მკვეთრად შეამცირა ტერაქტები ემიგრაციის ლიდერებისადმი. მიუხედავად ამისა, სტაშინსკის პროცესით მთელმა მსოფლიომ დაინახა ის მხეცური სამყარო, რისი სახელიც განისაზღვრება სამი ასოთი: KGB, რომელთანაც ბრძოლაში ასე მამაცურად ჩაება უკრაინელ ნაციონალისტთა ლიდერი სტეპან ბანდერა.

დღეს, როდესაც დაინგრა ბოროტების იმპერია — სსრ კავშირი, მავანი და მავანი ძალები მოსკოვში ლამობენ შეაჩერონ ისტორიის მსვლელობა, ხელი შეუშალონ დამოუკიდებელი სახელმწიფოების დამკვიდრებას. სუკის სპეცკონტიგენტი დაუღალავად ილწვის ერთიანისა და განუყოფელის აღსადგენად. სხვადასხვა ბინძურ საშუალებებთან ერთად გამოიყენება ნაცადი ჩეკისტური იარაღი — ტერორი, რისი დასტურიცაა ალექსანდრე მენის, გიორგი ჭანტურიას, ჯოჰარ დუდაევისა თუ სხვა თვალსაჩინო ლიდერთა მკვლელობები.

მაგრამ ისტორიამ უკვე გამოიტანა თავისი მიუდგომელი განაჩენი. მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მხარეზეა. ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის სულ უფრო მეტი მომძლავრება, მათი ინტეგრაცია ტრანსატლანტიკურ სტრუქტურებში.

**ნიკო თევზაძე**



მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93–20–36,
რედაქტორის მოადგილე: 93–18–41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444